დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N75 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი ციალა გაგნიძე

წევრები:

სახელი, გვარი

- თამარ კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველმეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინო თუდორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნელი ტატუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- შორენა ბალდუაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მარიამი ლეონიძე (სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).
- სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N75 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204422990

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი გრიშაშვილის N75
საფოსტო ინდექსი	0114
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	75-ე საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi75@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 72 11 05;

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 01 აპრილის № - MES 6 26 0000386745

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 29-30 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი, გრიშაშვილის #54 ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი, გიშაშვილის #54 ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი, გრიშაშვილის 54 ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის პროცესისთვის დაწესებულებამ ვიზიტის განმავლობაში სრული მზადყოფნა დაადასტურა. შეთანხმებული დღის წესრიგის ფარგლებში ავტორიზაციის გუნდს სკოლის ადმინისტრაცია ყოველმხრივ ეხმარებოდა და უზრუნველყოფდა საქმიანი გარემოს შექმნას სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.
შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასება ადგილზე განახორციელეს, ხოლო ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა დისტანციური ფორმით მიიღეს მონაწილეობა შეფასებაში. სრულყოფილი ანალიზის ჩატარების მიზნით, ექსპერტთა გუნდმა წინასწარ შეისწავლა სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, გამოყო დაზუსტების საჭიროების მქონე საკითხები და რამდენიმე ონლაინ სამუშაო შეხვედრა გამართა. ადმინისტრაციული პროცედურების, გასაუბრებების დეტალური განრიგი შემუშავდა და დაწესებულებას გადაეგზავნა, რის შემდეგაც ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა.
დღის წესრიგის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეხვედრები გამართეს სკოლის პერსონალთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, ასევე დეტალურად გაეცნენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და შეისწავლეს დაწესებულების რეალური მდგომარეობა. საგნობრივმა ექსპერტებმა დისტანციური რეჟიმით ჩაატარეს ინტერვიუები შესაბამისი საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან საკუთარი საგნობრივი კომპეტენციების ფარგლებში.
შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა **ძირითადად** შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, ფლობს განვითარების გარკვეულ ხედვას და ამის რეალიზაციის ეფექტურ მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეყრდნობა კომპლექსურ შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა არსებით ასპექტს.

ანალიზის შედეგებმა წარმოაჩინა, რომ სკოლა მიმართულია თანმიმდევრულ განვითარებისკენ, რაც გამოიხატება სტრატეგიული დაგეგმვის სისტემურობასა და სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაში. დაწესებულება ფლობს კვალიფიციურ საკადრო რესურსს და ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, **(მესამე სტანდარტის)** და რეკომენდაციები ემსახურება მოსწავლეთა ინტერესებსა და უსაფრთხოების დაცვასის რჩევები ფოკუსირებულია განათლების ხარისხის ამაღლებაზე, სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციაზე და ისეთი სასკოლო გარემოს შექმნაზე, რომელიც მაქსიმალურად ხელს უწყობს ყოველი მოსწავლის აკადემიური და პიროვნული წარმატების მიღწევას. ექსპერტთა რეკომენდაციები წარმოადგენს კონსტრუქციულ და განვითარებაზე ორიენტირებულ ხედვას, რომელიც მიმართულია დაწესებულების შემდგომ გაძლიერებასა და გაუმჯობესების პოტენციალის მქონე სფეროების დახვეწაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

შენიშვნა: ექსპერტებმა დეტალურად შეაფასეს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები და მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმების, რის შედეგადაც ექსპერტთა ჯგუფი მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას ეთანხმება მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის (06.2026 –10.2026) ფარგლებში, სპორტულ დარბაზში განთავსებული დიდი ზომის ვიტრაჟები აღჭურვოს დამცავი ბადეებით ან სხვა შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევითი დარტყმის (მაგ. ბურთის მოხვედრის) შედეგად შუშის მსხვრევისა და მოსწავლეთა დაზიანების რისკი. 2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (06.2026–05.2028), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრა და მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (06.2026-05.2028) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით (ლიფტი ან მოძრავი პანდუსი), რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N... 3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	სკოლაში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების კიდევ უფრო გაუმჯობესების, რისკების ეფექტიანი პრევენციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ განიხილოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა.
3.4.1.8	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	**სასურველია** სკოლამ მომდევნო სასწავლო წლიდან დანერგოს უკუკავშირის სისტემის დანერგვას მიზნობრივი კითხვარების მეშვეობით, რაც საშუალებას მისცემს პერიოდულად შეაფასოს და შემდეგ განავითაროს სკოლის მართვის სისტემები.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	**რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს მუშაობა უცხოური ენის კურიკულუმების იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია, თუ დაწყებითი კლასების კურიკულუმები იქნება მეტად სტრუქტურული და მასწავლებლები ერთობლივად შეათანხმებენ როგორც კურიკულუმის კომპონენტებს, ისე შემოქმედებითი დავალებების იდეებს.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევა: სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასებში) კ**ურიკულუმები შემუშავდეს მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისად,სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი და სწორად განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა სავალდებულო თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს

		შორის. **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების სამიზნე ცნებებთან ერთად მოცემული ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს უცხოური ენების კურიკულუმების გამდიდრება დროში რეალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **რჩევა**: სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად დამოუკიდებლად მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე. მკაფიოდ გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალების მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტული დავალებით რომელი გრძელვადიანი მიზანი (ცნებებები) მუშავდება. უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად გამოიკვეთოს საკითხი დავალებებში. რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდნოთ მეხუთე კლასის გასწორებული კურიკულუმის ვარიაციასა და დანართს, რომელიც ამავე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს. **რჩევა:** გაწერილი სამიზნე ცნებების მიღწევა კიდევ უფრო მარტივი იქნება,

		თუ შემოქმედებითი დავალებები ზოგიერთ კურიკულუმში, რომლებზეც ინტერვიუს დროს ვისაუბრეთ, უფრო მეტად იქნება ორიენტირებული პრაქტიკულ სამუშაოზე. ვინაიდან, **დაწყებით საფეხურზე** მთავარი ხელშესახები რესურსის შექმნაა.
ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**რჩევა**: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ,,რესურსების'' ველში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს ის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ეძლევათ კონკრეტული საკითხის დამუშავების პროცესში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს როგორც ციფრულ, ისე ბეჭდურ მასალებს, აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს და სხვა დამხმარე ინსტრუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. **რჩევა:** სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი ეტაპობრივად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გამდიდრდეს რესურსებით. აღინიშნოს ვიდეორგოლების ბმულები, ნიმუშები (მაგ: დღიურის ჩანაწერის, წერილის, ჩანახატის, ესეს, პოსტერის...) ფილმები,ანიმაციები, თემატურად მსგავსი ტექსტები, რომლებიც გამოიყენება დისკუსიისთვის, პარალელებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებებითვის მოსამზადებელ ეტაპებზე. **რჩევა:** სასურველია მოხდეს მათემატიკაში დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების

		გათვალისწინებით, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. სასურველია გამოიყენოთ: ilკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითის მასწავლებლებმა ხშირად განაახლონ ბმულები, რათა ელექტრონული რესურსით სარგებლობისას, თავიდან აირიდონ ტექნიკური ხარვეზები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა გააგრძელონ სწავლების დიფერენცირება მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროებისა და მზაობის მქონე მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და სასწავლო პროცესის თანაბარ ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით; სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში. **რჩევა:** სასურველი, სამივე საფეხურზე უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი დახვეწა კონკრეტული თემებისა და სამიზნე ცნებების სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, მასწავლებლებმა მეტი აქცენტი გააკეთონ პოზიტიურ, კონსტრუქციულ უკუკავშირზე, რაც

		დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის იდენტიფიცირებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. **რჩევა**: სასურველია **სახელმწიფო ენის სამივე** საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. უმჯობესია მკაფიოდ გამოიკვეთოს დავალების პირობა, დავალების მოთხოვნები და განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასება დავალებაში მასწავლებლის მიერ ჩაშენებულ კრიტერიუმებს დაეყრდნოს (რასაც დავალებაში სთხოვთ მოსწავლეს კონკრეტულად ის შეუფასეთ) , ამ რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდენოთ განახლებული შეფასების რუბრიკის ვარიაციებს. **რჩევა:** მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს. მათი შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.

ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.
ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევა:** სასურველია,რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა **სამივე საფეხურისთვის** შექმნან მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენის **სამივე საფეხურზე** დავალების პირობა გახდეს ძალიან მკაფიო, გამოიკვეთოს მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. დავალების პირობაში ისეთი მოთხოვნები იყოს დაკონკრეტებული მოსწავლეებისთვის, რისი გამოხატვის საშუალებასაც პროდუქტი იძლევა.

		პირველი ეტაპი პირობის სტრუქტურულად, შინაარსობრივად, სტილისტურად გამართვაა და მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა. მეორე ეტაპზე დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმების გადატანა შეფასების რუბრიკაში. (მოსწავლეს უნდა შეუფასდეს ის, რასაც პირობაშია მოთხოვნილი. სასურველია ამგვარი შეფასების რუბრიკები დაერთოს ყველა დავალებას.)
ინდიკატორი 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ ხელი შეუწყოს უცხოური ენების სასწავლო პროცესში ინტერაქტიული და ციფრული რესურსების კიდევ უფრო ინტენსიურ, ყოველდღიურ გამოყენებას. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების წახალისება, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სისტემატურ ინტეგრირებას ყველა საფეხურზე და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ენობრივი კომპეტენციების მუდმივ ზრდას.
ინდიკატორი 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**რჩევა:** იმისათვის რომ მათემატიკის დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, და ფარავდეს ყველა თემას სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეინარჩუნოს მატერიალური ბაზის რაციონალური გამოყენების დინამიკა და უზრუნველყოს მისი პერიოდული განახლება თანამედროვე ციფრული თუ ვიზუალური მასალით. ეს კიდევ უფრო გააფართოებს **უცხოური ენის პრაქტიკული** გამოყენების შესაძლებლობებს.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საგაზო საფეხურ* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	**რჩევა:** ისტორიის VIII, IX კლასის და გეოგრაფიის XI კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი იდეის სვეტში გადატანილია შემოქმედებითი დავალების სრული პირობა, რაც კურიკულუმის წაკითხვას ართულებს, სასურველია ჩამოყალიბდეს ლაკონურად, იდეის სახით და ჩანდეს მხოლოდ ის თუ რა საკითხზე რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა, იგივე სიტუაციაა მოქალაქეობის კურიკულუმებში და იქაც გავითვალისწინოთ. ამერიკისმცოდნეობის წარმოდგენილ კურიკულუმში არაა გამოკვეთილი ამა თუ იმ საკითხის დამუშავება რომელი სამიზნე ცნებით ხდება. კურიკულუმი გავწეროთ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **რჩევა:**სასურველია გაგრძელდეს მუშაობა უცხოური ენის კურიკულუმების იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა

		ინდივიდუალური საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების სამიზნე ცნებებთან ერთად მოცემული ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს უცხოური ენების კურიკულუმების გამდიდრება დროში რეალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **რჩევა**: სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად დამოუკიდებლად მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე. მკაფიოდ გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალების მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტული დავალებით რომელი გრძელვადიანი მიზანი (ცნებებები) მუშავდება. უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად გამოიკვეთოს საკითხი დავალებებში. რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდნოთ მეხუთე კლასის გასწორებული კურიკულუმის ვარიაციასა და დანართს, რომელიც ამავე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს.

ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**რჩევა**: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ,,რესურსების'' ველში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს ის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ეძლევათ კონკრეტული საკითხის დამუშავების პროცესში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს როგორც ციფრულ, ისე ბეჭდურ მასალებს, აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს და სხვა დამხმარე ინსტრუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი ეტაპობრივად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გამდიდრდეს რესურსებით. აღინიშნოს ვიდეორგოლების ბმულები, ნიმუშები (მაგ: დღიურის ჩანაწერის, წერილის, ჩანახატის, ესეს, პოსტერის...) ფილმები,ანიმაციები, თემატურად მსგავსი ტექსტები, რომლებიც გამოიყენება დისკუსიისთვის, პარალელებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებებითვის მოსამზადებელ ეტაპებზე. **რჩევა:** სასურველია მოხდეს მათემატიკაში დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. სასურველია გამოიყენოთ: ilკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა.

ინდიკატორი 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა გააგრძელონ სწავლების დიფერენცირება მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროებისა და მზაობის მქონე მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და სასწავლო პროცესის თანაბარ ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორი 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით; სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში. **რჩევა:** სასურველი, სამივე საფეხურზე უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი დახვეწა კონკრეტული თემებისა და სამიზნე ცნებების სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, მასწავლებლებმა მეტი აქცენტი გააკეთონ პოზიტიურ, კონსტრუქციულ უკუკავშირზე, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის იდენტიფიცირებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენის სამივე საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. უმჯობესია მკაფიოდ გამოიკვეთოს დავალების პირობა, დავალების

		მოთხოვნები და განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასება დავალებაში მასწავლებლის მიერ ჩაშენებულ კრიტერიუმებს დაეყრდნოს (რასაც დავალებაში სთხოვთ მოსწავლეს კონკრეტულად ის შეუფასეთ) , ამ რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდენოთ განახლებული შეფასების რუბრიკის ვარიაციებს. **რჩევა:** მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს. მათი შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **რჩევა** - საბაზო და საშუალო საფეხური: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა სასურველია შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.
ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.

ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევა:** სასურველია,რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენეს სამივე საფეხურზე დავალების პირობა გახდეს ძალიან მკაფიო, გამოიკვეთოს მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. დავალების პირობაში ისეთი მოთხოვნები იყოს დაკონკრეტებული მოსწავლეებისთვის, რისი გამოხატვის საშუალებასაც პროდუქტი იძლევა. პირველი ეტაპი პირობის სტრუქტურულად, შინაარსობრივად, სტილისტურად გამართვაა და მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა. მეორე ეტაპზე დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმების გადატანა შეფასების რუბრიკაში. (მოსწავლეს უნდა შეუფასდეს ის, რასაც პირობაშია მოთხოვნილი. სასურველია ამგვარი შეფასების რუბრიკები დაერთოს ყველა დავალებას.)

ინდიკატორი 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ ხელი შეუწყოს უცხოური ენების სასწავლო პროცესში ინტერაქტიული და ციფრული რესურსების კიდევ უფრო ინტენსიურ, ყოველდღიურ გამოყენებას. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების წახალისება, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სისტემატურ ინტეგრირებას ყველა საფეხურზე და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ენობრივი კომპეტენციების მუდმივ ზრდას.
ინდიკატორი 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**რჩევა:** იმისათვის რომ მათემატიკის დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, და ფარავდეს ყველა თემას სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეინარჩუნოს მატერიალური ბაზის რაციონალური გამოყენების დინამიკა და უზრუნველყოს მისი პერიოდული განახლება თანამედროვე ციფრული თუ ვიზუალური მასალით. ეს კიდევ უფრო გააფართოებს **უცხოური ენის** პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
		სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სკოლამ მეტად უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების** თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	**რჩევა:** ისტორიის VIII, IX კლასის და გეოგრაფიის XI კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი იდეის სვეტში გადატანილია შემოქმედებითი დავალების სრული პირობა, რაც კურიკულუმის წაკითხვას ართულებს, სასურველია ჩამოყალიბდეს ლაკონურად, იდეის სახით და ჩანდეს მხოლოდ ის თუ რა საკითხზე რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა, იგივე სიტუაციაა მოქალაქეობის კურიკულუმებში და იქაც გავითვალისწინოთ. ამერიკისმცოდნეობის წარმოდგენილ კურიკულუმში არაა გამოკვეთილი ამა თუ იმ საკითხის დამუშავება რომელი სამიზნე ცნებით ხდება. კურიკულუმი გავწეროთ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **რჩევა:**სასურველია გაგრძელდეს მუშაობა უცხოური ენის კურიკულუმებ იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელ

		დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების სამიზნე ცნებებთან ერთად მოცემული ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს უცხოური ენების კურიკულუმების გამდიდრება დროში რეალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **რჩევა**: სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის კურიკულუმებ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარა უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად დამოუკიდებლა მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე. მკაფიო გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალებ მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტულ დავალებით რომელი გრძელვადიანი მიზანი (ცნებებები) მუშავდება. უფრ მკაფიოდ და კონკრეტულად გამოიკვეთოს საკითხი დავალებებში. რჩევ გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდნოთ მეხუთე კლასის გასწორებულ კურიკულუმის ვარიაციასა და დანართს, რომელიც ამავე კლას კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს.
ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ**	**რჩევა**: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ,,რესურსების'' ველში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს ის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ეძლევათ კონკრეტული საკითხის დამუშავების პროცესში. აღნიშნული შეიძლება

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მოიცავდეს როგორც ციფრულ, ისე ბეჭდურ მასალებს, აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს და სხვა დამხმარე ინსტრუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი ეტაპობრივად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გამდიდრდეს რესურსებით. აღინიშნოს ვიდეორგოლების ბმულები, ნიმუშები (მაგ: დღიურის ჩანაწერის, წერილის, ჩანახატის, ესეს, პოსტერის...) ფილმები,ანიმაციები, თემატურად მსგავსი ტექსტები, რომლებიც გამოიყენება დისკუსიისთვის, პარალელებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებებითვის მოსამზადებელ ეტაპებზე. **რჩევა:** სასურველია მოხდეს მათემატიკაში დამხმარე რესურსებ გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებ გათვალისწინებით, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზ სასურველია გამოიყენოთ: ilკოლის რესურსები. math.ge ზე არსებუ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა.
ინდიკატორი 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა გააგრძელონ სწავლებ დიფერენცირება მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსებ გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროებისა და მზაობის მქო მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და სასწავლო პროცესის თანაბა ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით; სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში. **რჩევა:** სასურველი, სამივე საფეხურზე უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი დახვეწა კონკრეტული თემებისა და სამიზნე ცნებების სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, მასწავლებლებმა მეტი აქცენტი გააკეთონ პოზიტიურ, კონსტრუქციულ უკუკავშირზე, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის იდენტიფიცირებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. **რჩევა**: სასურველია სახელმწიფო ენის სამივე საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. უმჯობესია მკაფიოდ გამოიკვეთოს დავალების პირობა, დავალების მოთხოვნები და განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასება დავალებაში მასწავლებლის მიერ ჩაშენებულ კრიტერიუმებს დაეყრდნოს (რასაც დავალებაში სთხოვთ მოსწავლეს კონკრეტულად ის შეუფასეთ) , ამ

		რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდენოთ განახლებული შეფასების რუბრიკის ვარიაციებს. **რჩევა:** მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს. მათი შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **რჩევა** - საბაზო და საშუალო საფეხური: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა სასურველია შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.
ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.
ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**რჩევა:** სასურველია,რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია

		კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენეს სამივე საფეხურზე დავალების პირობა გახდეს ძალიან მკაფიო, გამოიკვეთოს მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. დავალების პირობაში ისეთი მოთხოვნები იყოს დაკონკრეტებული მოსწავლეებისთვის, რისი გამოხატვის საშუალებასაც პროდუქტი იძლევა. პირველი ეტაპი პირობის სტრუქტურულად, შინაარსობრივად, სტილისტურად გამართვაა და მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა. მეორე ეტაპზე დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმების გადატა შეფასების რუბრიკაში. (მოსწავლეს უნდა შეუფასდეს ის, რასაც პირობაშ მოთხოვნილი. სასურველია ამგვარი შეფასების რუბრიკები დაერთოს ყველ დავალებას.)
ინდიკატორი 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ ხელი შეუწყოს უცხოური ენების სასწავლო პროცესში ინტერაქტიული და ციფრული რესურსების კიდევ უფრო ინტენსიურ, ყოველდღიურ გამოყენებას. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების წახალისება, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სისტემატურ ინტეგრირებას ყველა საფეხურზე და ხელს

		შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ენობრივი კომპეტენციების მუდმივ ზრდას.
ინდიკატორი 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**რჩევა:** იმისათვის რომ მათემატიკის დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, და ფარავდეს ყველა თემას სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სკოლამ მეტად უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების** თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების გასწორება.

კერძოდ:

- სკოლამ შეასრულა 3.4.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებული რეკომენდაცია და უზრუნველყო სამედიცინო კაბინეტში მოძრავი ტიხარის შეძენა, რითაც მოახდინა აღნიშნული სივრცის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სკოლამ წარმოადგინა **განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** რომლის მიხედვითაც:

1. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი და სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმის (06.2026 – 10.2026) ფარგლებში უზრუნველყოფს სპორტულ დარბაზში განთავსებული დიდი ზომის ვიტრაჟების დამცავი ბადეებით ან სხვა შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმებით აღჭურვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევითი დარტყმის (მაგ. ბურთის მოხვედრის) შედეგად შუშის მსხვრევისა და მოსწავლეთა დაზიანების რისკი;

2. დაწესებულება შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (06.2026 –05.2028) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

- დაწესებულებამ წარმოადგინა **სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა,**

<u>დასკვნაში ვკითხულობთ:</u>

დასკვნა

ოსებ გრიშაშვილის ქ.#54-ში მდებარე „სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის #75 საჯარო სკოლა"-ს
კოდი 01.18.04.005.017) ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია და
ებთან შეუსაბამო. შენობაზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზი ხანდაზმულობასთან, ფიზიკურ
ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის სეისმური დატვირთვების ზეგავლენასთან
ს ტექნიკური მოუვლელობაცაა. შენობაზე არსებული დაზიანებები ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არის და
ტაცია შესაძლებელია. თუმცა, შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა სკოლის
ორდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, რა დროსაც მიღებული უნდა იქნას შენობის
ბის ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებებიც, რაც გულისხმობს: შენობის სილიკატური აგურით მოწყობილი
ბის გარსაკრში ჩასმას, ხოლო ტიხრების გარსაკრში ჩასმას ან დემონტაჟს და ახლის მოწყობას, შენობაში განივი
ყობას, ღიობების მოჩარჩოებას და ა.შ. რაც შეეხება სკოლის ეზოში განთავსებულ საქვაბეს, მისი ტექნიკური
დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერეტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის (06.2026 – 05.2028) ფარგლებში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ფასდება **ნაწილობრივი შესაბამისობით**.

3. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი და სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში(06.2026-05.2028) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით **(ლიფტი ან მოძრავი პანდუსი),** რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ფასდება **ნაწილობრივი შესაბამისობით**.

აქეედან გამომდინარე:

ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა, როგორც ნაწილობრივი შესაბამისი,

ინდიკატორი 3.5.1.4 — ასევე ნაწილობრივი შესაბამისი;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს მათ ძირითად პრინციპებს. მისიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მოსწავლის როგორც მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირება — წიგნიერება, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაციის უნარები და ტოლერანტობა სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ მიზნებთან, რომლებიც ორიენტირებულია მოქალაქის ინტელექტუალურ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებაზე. ასევე, ხაზგასმულია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პატრიოტიზმი და ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანის მნიშვნელობა. სკოლის მიერ განსაზღვრული პრინციპები (სამართლიანობა, ჰუმანიზმი, პასუხისმგებლობა, თავისუფალი აზროვნება) უზრუნველყოფს უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც ასევე წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. ხედვა თანმიმდევრულად ავითარებს მისიის ძირითად მიმართულებებს და მოიცავს როგორც სასწავლო გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ტექნოლოგიურ განვითარებას, პედაგოგთა პროფესიულ ზრდას და მშობელთა ჩართულობას. აღნიშნული კომპონენტები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების მოთხოვნებს და წარმაოდგენს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისია და ხედვა მკაფიოდ ასახავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიაში ხაზგასმულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, რაც წარმოადგენს სკოლის ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის

მრავალმხრივ განვითარებაზე — კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელურობა, ტოლერანტობა და პასუხისმგებლობა, რაც მიუთითებს პიროვნულ და სოციალურ უნარებზე ორიენტირებულ მიდგომაზე. ხედვაში კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება სკოლის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის ფუნქცია — უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, მშობელთა აქტიური ჩართულობა, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება და სოციალური უნარების განვითარება. ეს კომპონენტები ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე არა მხოლოდ აკადემიურად, არამედ სოციალურ-კულტურულადაც ვითარდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე და ხელს უწყობს ინკლუზიურ, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი #6) რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. სამეურვეო საბჭოს ოქმში ჩანს, რომ სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების გადახედვისა და შეთანხმებისთვის, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისთვის ჩატარდა გამოკითხვა, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, რაც დამტკიცდა შემდეგ პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი#5). აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი (10.02.2026) ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განხილულია მშობლებთან შეხვედრაზე. მშობლებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია სასკოლო გეგმის ყველა კომპონენტზე, მათ შორის სკოლის ფოლოსოფიის შესახებ და ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, ხოლო კითხვარების გამოყენება მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის მიუთითებს, რომ სკოლა მუდმივად იკვლევს, რამდენად შეესაბამება ყოველდღიური რუტინა, რომ განმტკიცდეს სკოლის ღირებულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის, ხოლო სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N75 საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი #5;
- სამეურველო საბჭოს ოქმი #6;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც პროცესის ეტაპებს, ისე პასუხისმგებელ პირებსა და ჩართულ მხარეებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას — დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესი და უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფების ფორმატით, პროექტების გაზიარებითა და უკუკავშირის გათვალისწინებით. ამასთან, პირდაპირ არის გაწერილი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას: პროცესის თითოეულ ეტაპზე ხდება ინფორმაციის შეგროვება საზოგადოების წევრებისგან, მათი ჩართვა დაგეგმვაში, დოკუმენტების გაზიარება და მიღებული უკუკავშირის ასახვა საბოლოო გადაწყვეტილებებში. ასევე განსაზღვრულია კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხები და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია შვიდწლიანი პერიოდისთვის (2025-2032 წლები), რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. დოკუმენტი მკაფიოდ ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც ლოგიკურად არის დაკავშირებული სტრატეგიულ მიზნებთან. მიზნები ასახავს სკოლის მისიის ძირითად ასპექტებს, მათ შორის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას. გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიმართულებები, თითოეული მიმართულება დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად, რაც უზრუნველყოფს მიზნების განხორციელების პრაქტიკულ ჩარჩოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025-2026 წწ.) და შინაარსობრივად სრულად ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტში სტრატეგიული მიზნები დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად და აქტივობებად. გეგმაში ასახული აქტივობები (მაგ. საჭიროებების კვლევა, კითხვარების ანალიზი) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა გეგმავს საქმიანობას თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს გეგმის რელევანტურობას არსებულ გამოწვევებთან.

ინდიკატორ შესასაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და თითოეულ ამოცანაზე გაწერილი კონკრეტული აქტივობები, რაც უზრუნველყოფს გეგმის პრაქტიკულ განხორციელებადობას.

მაგალითად, დოკუმენტში განსაზღვრულია:

- **პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები** (დირექტორი, მოადგილე, კათედრები და სხვ.);
- **შესრულების ვადები**, რომლებიც გაწერილია სასწავლო წლის თვეების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს დროის რეალისტურ დაგეგმვას;
- **რესურსები** (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), რომლებიც ლოგიკურად შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს და მათი უზრუნველყოფა რეალისტურად არის წარმოდგენილი.

ასევე, დოკუმენტში გაწერილია **შესრულების ინდიკატორები და მტკიცებულებები** (ოქმები, ანგარიშები, დოკუმენტაცია, მონიტორინგის შედეგები), რაც შესაძლებელს ხდის განხორციელებული აქტივობების შეფასებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი #2;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების და სტატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ოქმი #1.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მაგალითად:

- **პერიოდულობა და ვადები:** მკაფიოდ არის გაწერილი მონიტორინგის გრაფიკი — სამოქმედო გეგმისთვის წელიწადში ორჯერ (იანვარსა და ივნისში), ხოლო სტრატეგიული გეგმისთვის ციკლის შუაში და ბოლოს.
- **პროცედურული აღწერა:** დოკუმენტი განმარტავს განსხვავებას მონიტორინგსა (მონაცემთა შეგროვება სტატუსის შესახებ) და შეფასებას (მონაცემთა ანალიზი და რეაგირება) შორის.
- **ალტერნატიული მექანიზმები:** მეთოდოლოგია სკოლას სთავაზობს მონიტორინგის ორ დეტალურ ალტერნატივას:

➢ **ციფრული მექანიზმი:** „Google Drive“-ზე გაზიარებული ფაილებითა და საქაღალდეებით, სადაც პასუხისმგებელი პირები ტვირთავენ მტკიცებულებებსა და ანგარიშებს.
➢ **ანგარიშგების მეთოდი:** წერილობითი ანგარიშებისა და სამუშაო შეხვედრების ფორმატში სტატუსების მინიჭება („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“).

- **პასუხისმგებლობების განაწილება:** განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფისა და პასუხისმგებელი პირების როლები მონიტორინგის პროცესში.
- **უკუკავშირი და განვითარება:** დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება გეგმებში ცვლილებების შესატანად და სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.. წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასახავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სკოლა სისტემურად ახორციელებს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდულობა, პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობასა და მართვადობას.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სხვადასხვა ეტაპზე — როგორც დაგეგმვის, ისე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. უკუკავშირის მიღება უზრუნველყოფილია:

- სამუშაო ჯგუფის ფორმატით;
- დოკუმენტების გაზიარებისა და განხილვის პროცესით;
- ანგარიშების წარდგენითა და საჯაროობის უზრუნველყოფით.

ამასთან, დოკუმენტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ **ცვლილებები გეგმებში შესაძლებელია განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის საფუძველზე**, რაც მიუთითებს უკუკავშირის რეალურ გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ადგენს ანგარიშგების გამჭვირვალე სისტემას. დოკუმენტით გარანტირებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობა სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნების, საჯარო პრეზენტაციებისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენების გზით. ეს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას სკოლის განვითარების შედეგების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სისტემა აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე "- ციკლის პრინციპზე. მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები არ არის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ ისინი წარმოადგენენ სკოლის შემდგომი განვითარების მთავარ ორიენტირს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოდგინა 1/კ -04 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ, რომელშიც მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდ და სისტემურად არის განსაზღვრული. აღწერილია დირექტორის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და დამრიგებლის ფუნქციები და მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განაწილებას და პროცესების თანმიმდევრულ მართვას. ფუნქციების აღწერა მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე მონიტორინგსა და ორგანიზაციულ საქმიანობას, რაც ქმნის სისტემურ ხედვას სკოლის ფუნქციონირების შესახებ. სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირებისა და პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების პროცესი ეფექტიანად ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის დეცენტრალიზაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გვიჩვენებს, რომ სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ორგანიზებულია და მიზანმიმართულია, რაც ქმნის საფუძველს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სხვადასხვა რგოლის – დირექტორის, ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების – როლები, რაც უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულობასა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას. ფუნქციების ასეთი განაწილება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს, ასევე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობების ურთიერთკავშირს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება #1/კ-04 და დანართი თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ;
- სკოლის სტრუქტურა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირაა განსაზღვრული, რომ იგი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და დეტალურადაა მითითებული შესაბამისი ნორმატიული აქტები, რაც ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს პერსონალის მართვის პროცესებისთვის. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის მართვის სრული ციკლი — კადრების დაგეგმვა, შერჩევა, დასაქმება, შეფასება, პროფესიული განვითარება და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შერჩევის პროცედურები ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, კონკურსის წესები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო საკვალიფიკაციო კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის. ამასთან, დოკუმენტში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიცაა პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივაცია და სოციალური პირობები, რაც მიუთითებს სისტემურ და პოლიტიკაზე დაფუძნებულ მიდგომაზე ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. შრომითი ურთიერთობების დაწყებისა და შეწყვეტის წესებიც რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესების სამართლებრივ შესაბამისობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების დოკუმენტური შესწავლის შედეგად დადასტურდა მათი სრული შესაბამისობა საქართველოს მოქმედ შრომის კანონმდებლობასთან და სკოლის შიდა რეგულაციებთან, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივ დაცულობას.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება სისტემურად, თანმიმდევრულად და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს პერსონალის მართვის სრულ ციკლს — დაგეგმვას, შერჩევას, ადაპტაციას, შეფასებას, პროფესიულ განვითარებასა და შრომითი ურთიერთობების დასრულებას, რაც ქმნის პრევენციული მართვის საფუძველს. დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასების შედეგებზე დაფუძნებით განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და მოტივაციის მექანიზმების გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა კი აძლიერებს ინტერვენციულ კომპონენტს, რადგან განსაზღვრავს რისკების შეფასების, პროცესების პერიოდული და არაგეგმური შემოწმების, უკუკავშირის მიღებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პრობლემების დროულ გამოვლენას, შესაბამის რეაგირებასა და პროცესების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებს წინასწარ განსაზღვრავდეს და მათზე რეაგირების პოლიტიკას ამუშავებს. მაგალითად, თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული ხანგრძლივი არყოფნა, ან თანამშრომლის დატოვებასთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმება, თანამშრომლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შეფასება და სხვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასწავლო პროცესის უწყვეტობაზე. აღნიშნულ რისკებზე რეაგირება კი ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმებით, მაგალითად, კონკურსის დროული გამოცხადებით, ფუნქციების დროებითი გადანაწილებითა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომელთა ჩართვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფერხება ან შეჩერება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში, მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ვკითხულობთ, რომ პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, დოკუმენტი განსაზღვრავს შერჩევის ზოგად პრინციპებს და მიზნად ისახავს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას. ამავდროულად, სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკურსის გამოცხადების (ბრძანება №1/კ-61), საკონკურსო კომისიის შექმნის (ბრძანება №1/კ-62) და კონკურსთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია ჩანს, რომ პერსონალის შერჩევის პროცესის მარეგულირებელი ჩარჩოსთან ერთად ხორციელდება სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნულ დოკუმენტაციაში, მაგალითად კონკურსის გამოცხადების შესახებ

ბრძანებით რეგულირდება ვაკანსიის გამოცხადების პროცესი, განსაზღვრულია შესაბამისი ვადები და ადმინისტრაციული საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობას და გამჭვირვალობას. საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებით დადგენილია კომისიის შემადგენლობა და მისი ფუნქციები, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების კოლეგიურ მიღებას და გარკვეულწილად ზრდის ობიექტურობის ხარისხს. სკოლა ვაკანსიას აცხადებს teacherjobs.ge საშუალებით, რომლითაც უზურუნველყოფს ვაკანსიის შესაბამისი პირობების წარდგენას, კადრების მოზიდვას, კანდიდატთა შერჩევას კომისიის მიერ და შეფასების პროცესის დოკუმენტირებას. ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები დაცულია როგორც შერჩევის ეტაპზე (კრიტერიუმების წინასწარი განსაზღვრა), ისე შედეგების გამოცხადებისა და გასაჩივრების ეტაპზე. წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლაში დასაქმდება პოზიციის შესაბამისი, კვალიფიციური კადრი. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებას, ცნობებს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 21 უფროსი მასწავლებელი, 4 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ფლობს. გარდა ამისა, სკოლაში მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები და მათი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას. სკოლის ბიბლიოთეკარი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი. დასაქმებულთა კვალიფიკაცია და სტატუსი სრულ შესაბამისობაშია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. მასწავლებელთა კომპეტენცია პასუხობს მათ საათობრივ დატვირთვას, რაც ქმნის მყარ საფუძველს სასწავლო პროცესის მაღალხარისხიანად, ეფექტიანად და მოქმედი სტანდარტების დაცვით ორგანიზებისთვის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებასა და სხვა შესაბამის მონაცემებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა მათ საათობრივ დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან და ეფექტიან ორგანიზებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

N75 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა აშკარად ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ პრინციპებს. სკოლაში დანერგილია კოლეგიური მართვის მექანიზმები (პედაგოგიური საბჭო, კათედრები), რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში. ეფექტური შიდა კომუნიკაცია ხელს უწყობს ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას და თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერებას. ინტერვიუირების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობითი კულტურა, რაც დადასტურდა მასწავლებლების მიერ გაზიარებული პრაქტიკით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა არ არის დიდკონტიგენტიანი და პერსონალის რაოდენობა შედარებით მცირეა, თანამშრომლობა კიდევ უფრო მოქნილი და ეფექტურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესი დეტალურად არეგულირებს დასაქმებულთა წახალისების ფორმებს, რაც პირდაპირ უკავშირდება პროფესიული წარმატების აღიარებას. დოკუმენტში გაწერილია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისათვის ან საგანმანათლებლო პროცესში თავის გამოჩენისათვის სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქარი;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემია.

მნიშვნელოვანია, რომ წახალისების ინიციირების უფლება აქვს არა მხოლოდ დირექციას, არამედ საგნობრივ კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს, რაც მიუთითებს აღიარების პროცესში კოლეგიურობის პრინციპის დაცვაზე. ეს მექანიზმი საშუალებას აძლევს სკოლას, დროულად მოახდინოს წარმატებული პრაქტიკის იდენტიფიცირება და მისი საჯარო აღიარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ვაკანსიის მასალები;
- შრომითი ხელშეკრულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით განსაზღვრულია ძირითადი მიდგომები და პროცედურები. დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც ემსახურება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. ასევე, განსაზღვრულია შეფასების შესაძლო მეთოდები, როგორიცაა თვითშეფასება, გასაუბრება, უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, 360-გრადუსიანი შეფასება და სხვა. დოკუმენტი ასევე მიუთითებს, რომ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივ პროფესიულ განვითარებას. ამასთან, პროფესიული განვითარების პოლიტიკა ეფუძნება

თანამშრომელთა მხარდაჭერის, პროგრესის მონიტორინგის, უწყვეტი განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს, რაც დადებითად წარმოაჩენს სკოლის ხედვას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა ცხადყოფს, რომ პერსონალის განვითარება სისტემურადაა დაგეგმილი და ეფუძნება საჭიროებების იდენტიფიკაციასა და ანალიზს. დოკუმენტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, რაც ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის გაკვეთილებზე დასწრების, უკუკავშირის გაცემისა და სამუშაო პროცესის შეფასების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების საჭიროებების დროულ გამოვლენას. სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს მაგალითად, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და გარე ტრენინგებისა და ვორქშოფების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება. მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობები არა ერთჯერად, არამედ უწყვეტ პროცესად არის წარმოდგენილი, რაც მიუთითებს სკოლის ორიენტაციაზე მდგრად პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა სკოლის ხარისხსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის ციკლი (PDCA - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) პირდაპირ კავშირშია პერსონალის განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესისა და კურიკულუმების პერიოდულ შეფასებას, მათ შორის მასწავლებელთა ინტერვიუირებასა და გაკვეთილებზე დასწრებას. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას იძლევა, ობიექტურად გამოიკვეთოს პერსონალის პროფესიული საჭიროებები და ხარვეზები. ორივე დოკუმენტი ერთმანეთთან ბმაშია და წარმოდგენილია როგორც დაგეგმვის ნაწილის უზრუნველყოფა ასევე იმპლემენტაციისთვის საჭირო აქტივობები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშემწყობ აქტივობებს, მათ შორის შიდა სასკოლო ტრენინგების დანერგვას, ცოდნისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას, ასევე გარე ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობები ქმნის პირობებს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების უწყვეტი განვითარებისთვის, რაც კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის თანამშრომელთა შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმების ნაწილი (გაკვეთილებზე დასწრება, პროფესიული საჭიროებების კვლევა), ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში კი „კარიერული განვითარება“ განსაზღვრულია, როგორც სკოლის ერთ-ერთი დამხმარე პროცესი, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შეფასება, რეკომენდაციები, მონიტორინგი)

უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული ზრდის პროცესის სისტემურ მართვას. შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და მათი შესრულების მონიტორინგი ქმნის შესაძლებლობას, რომ პერსონალის განვითარება და კარიერული წინსვლა იყოს მიზნობრივი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია სისტემურადაა დაგეგმილი და რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. დოკუმენტის მიხედვით, ახალი თანამშრომლის ორგანიზაციაში შემოსვლა მოიცავს არა მხოლოდ შერჩევისა და დანიშვნის პროცესს, არამედ მიზანმიმართულ სოციალიზაციასა და ადაპტაციას, დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს ახალ თანამშრომლებს გაეცნონ სკოლის წესებს, ტრადიციებსა და სამუშაო გარემოს სპეციფიკას. განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა სამუშაო გარემოს გაცნობა, კოლეგებთან ინტეგრაცია, კომუნიკაციის არხების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მენტორის დანიშვნა. ეს მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი არ იყოს ფორმალური, არამედ იყოს მხარდაჭერაზე ორიენტირებული და ეფექტიანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს პერსონალის წახალისების საფუძვლებსა და ფორმებს. წახალისება გამოიყენება „პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის “, „განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისათვის “და „საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის “.

- მადლობა,
- სიგელი,
- ფასიანი საჩუქარი,
- ფულადი პრემია და
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა.

ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ ამოცანას: „თანამშრომელთა წახალისების სისტემის გაუმჯობესება/დახვეწა“ ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს წახალისების მექანიზმების ეფექტიანობასა და გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ცხადყოფს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე, რომელიც აგებულია პროცესულ მიდგომაზე. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სკოლის პროცესები და მათი კლასიფიკაცია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემურ მართვას და თითოეული პროცესის ურთიერთკავშირში განხილვას. პროცესული მიდგომა განსაკუთრებით გამოიხატება იმაში, რომ თითოეული პროცესი წარმოდგენილია სტრუქტურირებულად — განსაზღვრულია მისი მიზანი, შედეგები, ქვეპროცესები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების მექანიზმები. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება წინასწარ დაგეგმილ და რეგულირებულ მოქმედებებს, რაც ზრდის მართვის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტში ნათლად იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური მოდელი, რომელიც მოიცავს მაგალითად, რისკების შეფასებას, წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, პროცესების შემოწმებას, დასკვნისა და უკუკავშირის გაცემას, ასევე რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნული ეტაპები ქმნის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მექანიზმს, რაც სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის (დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გაუმჯობესება) პრინციპს. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს დირექტორისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების როლებს პროცესების მართვასა და შეფასებაში, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და ეფექტიან კოორდინაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელშიც სისტემურად არის იდენტიფიცირებული ყველა მმართველობითი, ძირითადი (საგანმანათლებლო) და დამხმარე პროცესი. დოკუმენტი ადგენს პროცესების აღწერის ერთიან სტანდარტს, რომელიც მოიცავს მიზნებს, ქვეპროცესებს, პასუხისმგებლობებსა და ვიზუალურ დიაგრამებს. დოკუმენტში წარმოდგენილია:

- **მმართველობითი პროცესები:** სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა;
- **ძირითადი პროცესები:** კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;
- **დამხმარე პროცესები:** გაშლილია სხვადასხვა მიმართულება. მაგალითად, ფინანსური, ადამიანური რესურსები, მატერიალური რესურსები, უსაფრთხოება, საქმისწარმოება, ბიბლიოთეკა და სხვა).

დოკუმენტში იდენტიფიცირებული პროცესები პირდაპირ კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან (რისკების შეფასება, მონიტორინგი, უკუკავშირი), რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ განვითარებას.ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები პრაქტიკულად განხორციელების საშუალებას იძლევა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები, ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტების ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია პროცესზე დაფუძნებული მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას ერთიან ლოგიკურ ჩარჩოში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების გამჭვირვალე, მრავალსაფეხურიანი სისტემა. სისტემა ფარავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს — მოსწავლეებს, მშობლებსა და პერსონალს. დოკუმენტში ვკითხულობთ რომ მაგალითად, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სკოლის დირექტორს, ხოლო უშუალოდ დირექტორის ქმედების გასაჩივრებისთვის განსაზღვრულია სკოლის სამეურვეო საბჭო. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს უფლებების დაცვის გარე მექანიზმებს, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სამინისტროსა და სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას. პროცესის სტანდარტიზაციის მიზნით, დოკუმენტს ერთვის განცხადების/საჩივრის სპეციალური ფორმები, რაც გასაჩივრების პროცედურას ხდის ხელმისაწვდომს და პრაქტიკულად გამოსაყენებელს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია მრავალმხრივი მექანიზმებით, რომლებიც გაწერილია შინაგანაწესში. დოკუმენტი ეფუძნება კანონმდებლობას და ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, სამართლიან და პროპორციულ დისციპლინურ პროცედურებს, ასევე მშობლების ინფორმირებულობასა და ჩართულობას. აღნიშნული მექანიზმები ფუნქციონირებს სისტემურად და უზრუნველყოფს უფლებების რეალურ დაცვას სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას.

გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი. სკოლა საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი. – 112. სკოლას ჰყავს ორი მანდატური.

5. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება მიუთითებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. განსაზღვრულია, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები სისტემურად იღებენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების, სკოლაში მოქმედი წესებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (მათ შორის, კლასის დამრიგებლისა და ადმინისტრაციის მიერ, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით). დოკუმენტი ასევე უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას — სასკოლო საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ მიმართონ სკოლის დირექტორს ან სამეურვეო საბჭოს საჩივრითა და მოთხოვნით, რაც წარმოადგენს კომუნიკაციისა და რეაგირების ფორმალიზებულ არხს. ამასთან, განსაზღვრულია, რომ მიღებულ საჩივრებზე ხდება შესაბამისი რეაგირება და, საჭიროების შემთხვევაში, საკითხი გადადის როგორც შიდა, ისე გარე განხილვის დონეზე.

ხოლო სკოლის შინაგანაწესი განსაზღრავს სკოლის შიდა კომუნიკაციის წესებს, ინფორმაციის გავრცელების ფორმებსა და პერიოდულობას, ასევე უზრუნველყოფს მშობლებისა და პერსონალის ინფორმირებულობას სკოლის საქმიანობასთან

დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთათვის ოფიციალურ შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი პოზიცია, უკმაყოფილება ან ინიციატივა. ამასთანავე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ეხმიანება იდენტიფიცირებულ პროცესებს კონკრეტული აქტივობების სახით, სკოლა მიღებულ უკუკავშირს იყენებს პრაქტიკაში. გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა კმაყოფილების კვლევები, საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც მიუთითებს, რომ უკუკავშირი რეალურად აისახება სკოლის განვითარების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, თავისი ფორმატით წარმოადგენენ კოლეგიალურ ორგანოებს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლაში წარმოდგენილია ყველა ის კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე სკოლის მართვის პროცესებში. კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი უფლება-მოვალეობები სრულად უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას. მაგალითად, როდესაც სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ - თავისი ფორმატით კოლეგიალური ორგანოა და შედგება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისგან, ეს უკვე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობას და ჩართულობას სკოლის ცხოვრებასა და მართვაში. ამრიგად, კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი აქტიური ფუნქციონირება სკოლის მართვის პროცესში ქმნის დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოს, სადაც ყველა მხარის ინტერესები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- ხარისიხს პოლიტიკის დოკუმენტი;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმიანობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ექსპერტთა ვიზიტამდე,

დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლას უკვე ჰქონდა გაგზავნილი მიმართვა უფლებამოსილ უწყებაში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. ამასთან, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად შესაბამის ორგანოსთან მიმართვა იმყოფებოდა განხილვის პროცესში და სკოლა ელოდებოდა შემდგომ ნაბიჯებს. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (ბრძ#1/კ-05) სკოლის შენობა არის ძველი, ღობის მთლიანობა არ არის დარღვეული. სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს დარაჯი (სულ ორი). გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ამასთან, კონტროლდება სკოლის შენობაში გარეშე პირთა შემოსვლა. გარეშე პირთა სკოლის შენობაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. სართულებზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა. სკოლაში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების კიდევ უფრო გაუმჯობესების, რისკების ეფექტიანი პრევენციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ განიხილოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა.

სკოლის შენობის დათვალიერებისას გამოიკვეთა ხარვეზი უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით: კერძოდ,

- სპორტულ დარბაზში განთავსებული დიდი ზომის ვიტრაჟები, არ არის აღჭურვილი დამცავი ბადეებით ან სხვა უსაფრთხოების მექანიზმებით. აღნიშნული ქმნის გაუთვალისიწნებელ შემთხვევების ალბათობას (მაგ. ბურთის მოხვედრის) შედეგად შუშის მსხვრევისა და მოსწავლეთა დაზიანების რისკებს.
- სკოლას არ აქვს შენობის საინჟინრო-კონსტრუქციული მდგრადობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა.

აღნიშნული ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტში, თუმცა

სკოლამ წარმოადგინა **განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** რომლის მიხედვითაც:

- ➢ სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი და სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმის (06.2026 – 10.2026) ფარგლებში უზრუნველყოფს სპორტულ დარბაზში განთავსებული დიდი ზომის ვიტრაჟების დამცავი ბადეებით ან სხვა შესაბამისი უსაფრთხოების

მექანიზმებით აღჭურვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევითი დარტყმის (მაგ. ბურთის მოხვედრის) შედეგად შუშის მსხვრევისა და მოსწავლეთა დაზიანების რისკი;

- დაწესებულება შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (06.2026 –05.2028) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

დაწესებულებამ წარმოადგინა **სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა,**

<u>დასკვნაში ვკითხულობთ:</u>

დასკვნა

ოსებ გრიშაშვილის ქ.#54-ში მდებარე „სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის #75 საჯარო სკოლა"-ს
კოდი 01.18.04.005.017) ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია და
ებთან შეუსაბამო. შენობაზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზი ხანდაზმულობასთან, ფიზიკურ
ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის სეისმური დატვირთვების ზეგავლენასთან
ს ტექნიკური მოუვლელობაცაა. შენობაზე არსებული დაზიანებები ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არის და
ტაცია შესაძლებელია. თუმცა, შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა სკოლის
ერდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, რა დროსაც მიღებული უნდა იქნას შენობის
ბის ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებებიც, რაც გულისხმობს: შენობის სილიკატური აგურით მოწყობილი
ბის გარსაკრში ჩასმას, ხოლო ტიხრების გარსაკრში ჩასმას ან დემონტაჟს და ახლის მოწყობას, შენობაში განივი
ყობას, ღიობების მოჩარჩოებას და ა.შ. რაც შეეხება სკოლის ეზოში განთავსებულ საქვაბეს, მისი ტექნიკური
დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერეტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის (06.2026 – 05.2028) ფარგლებში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ფასდება **ნაწილობრივი შესაბამისობით**.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით, გარდა მოძრავის ტიხრისა(შირმა). სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი — ექიმი, რომლის კომპეტენცია დასტურდება სათანადო უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით (დიპლომით) და პროფესიული საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატით/ცნობით. ექიმი საქმიანობას წარმართავს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა“ და მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით. სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ოპერატიულობის უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რაც ქმნის მყარ გარანტიას მოსწავლეთათვის დროული და კვალიფიციური პირველადი დახმარების აღმოსაჩენად.

სამედიცინო კაბინეტში არ არის მოძრავი ტიხარი, რის შედეგადაც ვერ ხდება მოსწავლისთვის იზოლირებული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.
აღნიშნული ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტში, თუმცა სკოლამ შეასრულა 3.4.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებული რეკომენდაცია და უზრუნველყო სამედიცინო კაბინეტში მოძრავი ტიხარის შეძენა, რითაც მოახდინა აღნიშნული სივრცის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისია ინდიკატორთან. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში ეფექტიანად არის დანერგილი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები. საგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგზე ზრუნავს ორი მანდატური და ორი დარაჯი, ხოლო შენობის პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეომონიტორინგის სისტემით. უსაფრთხოების პროცესების სამართლებრივ მოწესრიგებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და ვალდებულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შესასვლელსა და დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იწვევს ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ასოციაციას. ასევე სკოლას ყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები - სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება,რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატური, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლის ყველა სართულზე გათავსებულ საპირფარეშოებში (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის) დაცული იყო ყველა ჰიგიენური ნორმა.სარეცხი და დასასუფთავებელი ქიმიებისთვის გამოყოფილი აქვთ ცალკე ოთახი, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები - 3 დამლაგებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს (კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა, მონაცემთა სიზუსტე და უსაფრთხოება) და მოიცავს როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული პირების მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლს. განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონიერებას. სკოლაში დანერგილია როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური დაცვის მექანიზმები: შეზღუდულია მონაცემებზე წვდომა კომპეტენციის მიხედვით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, მონაცემთა შენახვის ვადები და მათი განადგურების/დაბლოკვის წესები. ცალკე რეგულირდება ელექტრონული სისტემების (emis, Teams), ვიდეომონიტორინგის, ელექტრონული ჟურნალისა და პირადი საქმეების წარმოების პროცესში მონაცემთა დაცვა, რაც მიუთითებს პროცესების

სტრუქტურირებულობასა და პრაქტიკულ უზრუნველყოფაზე. ამასთან, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციაა მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგი, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პერსონალის კონსულტირება და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ 300 არაგველის სახელობის ქალაქ თბილისის N 75 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N02-05 ბრძანებით. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში იდენტიფიცირებულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები (დირექტორის მოადგილე, მანდატური, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) და გაწერილია კონკრეტული მექანიზმები ფიზიკური, საზოგადოებრივი წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით. დოკუმენტი შეიცავს მონიტორინგის ელემენტებს. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო.

სასურველია სკოლამ მომდევნო სასწავლო წლიდან დანერგოს უკუკავშირის სისტემის დანერგვას მიზნობრივი კითხვარების მეშვეობით, რაც საშუალებას მისცემს პერიოდულად შეაფასოს და შემდეგ განავითაროს სკოლის მართვის სისტემები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ადმინისტარციის შრომითი ხელშეკრულება;
- სამედიცინო საქმიანობის მონიტორინგი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს 4480.00კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია ერთი შენობა-ნაგებობა.საგანმანათლებლო პროცესისთვის სკოლას აქვს 20 საკლასო ოთახი, თითოეული აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფით,

მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სხვა საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში ფუნქციონირებს დირექციის კაბინეტი, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, კეთილმოწყობილი სპორტული გარე მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც გათავსებულია15 კომპიუტერი და პროექტორი. სკოლას აქვს ძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ოთახი, STEM ლაბორატორიის აღჭურვილობა, ყველა ოთახი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.სკოლა აღჭურვილია სასკოლო სპორტულ დარბაზში არის სპორტული ინვენტარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) და საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით, სადაც გამოკრულია ქცევის წესები. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკას საკუთარი იდეებისა და ინიციატივების წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სააქტო და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ასევე სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნებით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, რომელთა რესურსების გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს-ოთახი, სადაც გამოკრულია ამ ოთახით მოსარგებლე მოსწავლეთა ინიციალებით სამუშაო საათები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებით აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელებს. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის დოკუმენტბრუნვა მოწესრიგებულია და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ ოთახში განთავსებულია როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. რესურს ოთახი უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას და წარმოადგენს უსაფრთხო და კომფორტულ სივრცეს მოსწავლეებისთვის. ამასთან, სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს უნივერსალური ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას. შენობაში არსად არ არის მოწყობილი პანდუსი ან მოძრავი ლიფტი, რაც შეუძლებელს ხდის შშმ პირების თავისუფალ გადაადგილებას და წვდომას ისეთ სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცეებზე, როგორიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და ისტ-ის კაბინეტი. აღნიშნული გარემოება ზღუდავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო ფიზიკურ გარემოს და წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ სტანდარტებთან.

აღნიშნული ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტში, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი და სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში(06.2026-05.2028) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით **(ლიფტი ან მოძრავი პანდუსი),** რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ფასდება **ნაწილობრივი შესაბამისობით**.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ასრულებს მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ ფუნქციას. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მცირე კონტინგენტი დადებითად არის შეფასებული, რაც, მათი მოსაზრებით, ხელს უწყობს თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალური ყურადღების გამახვილებას. ასევე აღინიშნა, რომ სკოლა მდებარეობს თბილისის ძველ უბანში (ორთაჭალა), რომელიც მნიშვნელოვან ტურისტულ სივრცეს წარმოადგენს, რის გამოც სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ოჯახებისთვის სკოლა წარმოადგენს ცოდნის მიღებისა და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვან წყაროს. მშობლების მხრიდან გამოხატული მაღალი კმაყოფილება და მადლიერება ხაზს უსვამს სკოლის მნიშვნელოვან როლს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის ინვენტარი და დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიების ინვენტარი და დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს 25 კომპიუტერი, 37 პერსონალური ლეპტოპი, 4 პრინტერი, 5 პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, საჭიროებისამებრ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც სასწავლო რესურსებზე წვდომას, ისე ადმინისტრაციული პროცესების მართვას. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ აღნიშნული ტექნოლოგიებით როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობისას. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც აისახება როგორც ტექნიკური ბაზის განახლებაში, ისე ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც არსებული წესის შესაბამისად მუშაობენ და ასევე სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის, სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიის სარგებლობის წესები;
- კომპიურებისა და სხვა ტექნიკის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის სქამისწარმოების წესით, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. დოკუმენტში განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის, რეგისტრაციის, შენახვისა და დამუშავების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებულ და სისტემურ მართვას. საქმისწარმოება ხორციელდება მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და სიზუსტეს. აღნიშნული ქმნის ეფექტიან ადმინისტრაციულ საფუძველს სკოლის მართვის პროცესების გამართულად ფუნქციონირებისთვის.

ინდიკატორი შესაბამსობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ეს ქმნის სამართლებრივად გამართულ და ორგანიზებულ ადმინისტრაციულ გარემოს. დოკუმენტი განსაზღვრავს საქმისწარმოების წესებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მითითებულია, რომ ყველა პროცედურა და დოკუმენტბრუნვა უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მატერიალური საქმისწარმოებისთვის აუცილებელი ჟურნალები სრულად არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა საქმისმწარმოებელი და გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს.კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გარდა აღნიშნულისა, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- 75-ე სკოლის Eschool-ის ბაზა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow;
- მატერიალური ჟურნალები;
- E-flow;
- Eschool.emis.ge სკოლის პროფილი;
- პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტთან გაგზავნილი ანგარიშები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე სკოლის სხვადასხვა აქტივობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, სკოლას აქვს საკუთარი Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტების, სასწავლო და ინტელექტუალური ღონისძიებების, კონკურსებისა და ოლიმპიადების შესახებ. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლებისათვის), რომელთა მეშვეობით წევრები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის სოციალური ქსელი ღიაა, საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები იყენებენ. ინფორმაციის გაცვლა, მიღება და დამუშავება ასევე ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ეს ინფორმაცია არის ზუსტი და სანდო, რასაც ადასტურებს შესაბამისი ფოტომასალა (რომელიც ქვეყნდება მშობლების თანხმობით) და სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა თუ შეჯიბრებების დოკუმენტური დასტურები. სკოლის ადმინისტრაცია სრულ პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და შეესაბამებოდეს რეალობას. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქტიურად მართავს კომუნიკაციას როგორც მშობლებთან, ისე მოსწავლეებთან — იქნება ეს მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები თუ სხვა ფორმატი. ანალოგიურად აღინიშნა მშობლებთან ინტერვიურების დროს. დირექცია მუდმივად იღებს მათგან უკუკავშირს და ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. სკოლა ღიაა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის და მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლა გადის პირველადი ავტორიზაციის

პროცესს და ამ ეტაპზე აყალიბებს სისტემურ ცვლილებებს, უკუკავშირის შედეგების პრაქტიკული ასახვა მოსალოდნელია უახლოეს მომავალში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზედაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და სიახლეების გამოქვეყნება. ვებ-გვერდი არის ქართულენოვანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე გათავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია. სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი;
- დამრიგებლის დებულება.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას, სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ შემოსავლებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროგნოზირებულ ხარჯებს, წინა წლის ანალიზს და საბიუჯეტო პროცედურებს. სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა, სკოლა ახერხებს დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკური საქმიანობიდან და მათ მიმართვას სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ვაუჩერული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შეძენისათვის საჭირო თანხებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების სრულ მართვას, რაც მოიცავს დაგეგმვას, კორექტირებას, განაწილებასა და კონტროლს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ მომავალი

წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და საჭიროებები, რაც აისახება როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში. სასწავლო წლის განმავლობაში, ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების გამო, ხშირად დგება ბიუჯეტში კორექტივების შეტანის აუცილებლობა. ბიუჯეტის ცვლილებები ხორციელდება დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილვის საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა;
- ფინანსური დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესახებ" დოკუმენტი, (ბრძ# 02-09), რომელშიც გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის, დირექტორისა და მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები. მოსწავლის უფლებების ნაწილში მითითებულია ღირსეული მოპყრობის, აზრის გამოხატვის, დისკრიმინაციისა და ბულინგისგან დაცვის, პერსონალური მონაცემების დაცვის, უსაფრთხო გარემოში სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლებები. აღნიშნული უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლობების გამიჯვნას და ქმნის მოსწავლის უფლებების დაცვის სისტემურ საფუძველს. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას უფლებების დაცვის მექანიზმები, მაგალითად, დოკუმენტში განსაზღვრულია ინფორმაციის საჯაროდ განთავსება სკოლის ვებგვერდზე, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება. ეს ხელს უწყობს მოსწავლისა და მშობლის ცნობიერების ამაღლებას და გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობას. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს პრევენციულ მიდგომებსაც. სკოლა ვალდებულია მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა საინფორმაციო შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. ანალოგიურ ჩანაწერებს, უფრო გაფართოვებულად ვხვდებით სკოლის შინაგანაწესში, მაგალითად, მოსწავლის დოკუმენტში ყურადღება მახვილდება მოსწავლის დისციპლინური დევნისა და სახდელის გამოყენების პრინციპებზე, თუმცა ჩანააწერები ემსახურება რომ დისციპლინური დევნა უნდა განხორციელდეს ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით და დაუშვებელია ისეთი სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

შინაგანაწესში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. ჩამოთვლილია მოსწავლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომები და მათზე შესაბამისი რეაგირების ფორმები. დისციპლინური სახდელების სისტემა გაწერილია ეტაპობრივად — შენიშვნა, გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება და საშუალო საფეხურზე სკოლიდან გარიცხვა. დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან. წარმოდგენილი შინაგანაწესი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შიდა მექანიზმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმის“ დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ. კერძოდ, განსაზღვრულია ინფორმაციის საჯაროდ განთავსება სკოლის ვებგვერდზე, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება. ეს ხელს უწყობს მოსწავლისა და მშობლის ცნობიერების ამაღლებას და გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობას. ასევე სკოლის მიერ წარამოდგენილ მშობელთა კრების ოქმი #1 ადასტურებს სასკოლო საზოგადოებსთან გაზიარების მექანზიმის იმპლემენტაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ხელშეკრულება არის მკაფიო და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანზიმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები განსაზღვრულია და ცალკეულ მიმართულებებში მკაფიოდ იკვეთება. განსაკუთრებით დეტალურადაა

წარმოდგენილი საფეხურის დაძლევის წესი, მობილობასთან და შეფასებების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების პროცესთან მიმართებითაც იკვეთება, რომ სკოლა მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი და საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირებული პროცედურების შესაბამისად, რაც ზრდის გამჭვირვალობას და ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების რისკს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი მოსწავლის პირადი საქმეებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგენილი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წარმოდგენილი ბრძანებებით კი დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნულ პროცედურებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღნიშნული პროექტები რეგულარულად შუქდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას და ჩართულობას. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას გახანგრძლივებულის სახით სთავაზობს, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, როგორც სკოლის შიდა სივრცეში, ასევე სკოლის საიტზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება მრავალარხიანი და ხელმისაწვდომი ფორმით. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სასკოლო კურიკულუმსა და სადამრიგებლო პროგრამებში. ამასთან, ინფორმაციის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე, ასევე იგი გამოკრულია სკოლის ფოიეში, გათავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია შეესაბამება კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული ეს ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას სკოლასა და საზოგადოებას შორის, უზრუნველყოფს თანასწორი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას და ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტური სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სადამრიგებლო პროგრამებში. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდდენილ სადამრიგებლო პროგრამა კარგად ასახავს მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური, მორალური და მოქალაქეობრივი განვითარების მიმართულებებს და ქმნის საფუძველს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ითვალისწინებს თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ემოციური თვითრეგულაციისა და კონფლიქტის მართვის უნარების განვითარებას, რაც მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში წარმატებული ჩართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სასკოლო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციის დამყარების მიზნით, დამრიგებელი ასრულებს მთავარ როლს ახალი მოსწავლის სოციალიზაციაში. იგი პირველივე სადამრიგებლო საათს ან დასვენებას იყენებს მოსწავლის კლასისთვის წარსადგენად, აძლევს მას თვითპრეზენტაციის შესაძლებლობას და ხელს უწყობს თანაკლასელებთან დაახლოებას. გარდა ამისა, დამრიგებელი ახალ მოსწავლეს აცნობს საგნის მასწავლებლებს, რაც აადვილებს საგაკვეთილო პროცესში მის ჩართვას. სკოლა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს დეზადაპტაციის ნიშნების მონიტორინგს. დამრიგებელი ინარჩუნებს აქტიურ კავშირს მშობლებთან, რათა მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის განწყობისა და შესაძლო სირთულეების შესახებ. სკოლა ასევე ატარებს საგანმანათლებლო შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა ბულინგი და ეფექტური კომუნიკაცია, რაც ქმნის უსაფრთხო გარემოს ადაპტაციისთვის. ამრიგად, სკოლაში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ და აკადემიურ მხარდაჭერას, რაც ქმნის ოპტიმალურ პირობებს სასწავლო გარემოსთან სწრაფი შეგუებისთვის.

ინდიკატორი შესაბამსიობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში სწავლის დაწყების მომენტიდან მოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პოზიტიური საგანმანათლებლო განწყობის შექმნასა და ბავშვის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერაზე. პროცესი ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, სადაც წამყვან როლს კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების პროფესიული დამოკიდებულება ასრულებს. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული ადაპტაციის მექანიზმები პრაქტიკული და მოსწავლეზე ორიენტირებულია.

ინდიკატორი შესაბასმიობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ დანერგილია მოსწავლის შეფასებისა და უკუკავშირის მრავალმხრივი, სისტემური და გამჭვირვალე მექანიზმები. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რეგულარულ და ინდივიდუალურ მიწოდებას როგორც თავად მოსწავლისთვის, ასევე მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის მიერ განხორციელებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და დროულობას. საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, რაც მიუთითებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერასა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა სრულად უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში აწვდის ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე. ინფორმაციის გაზიარება მოიცავს თემებს, როგორიცაა: სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ვადები, არდადეგების განრიგი და ხანგრძლივობა, მობილობის ვადები და მასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების წესებისა და ვადების გაცნობას, ასევე სკოლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისების მისაღებად საჭირო პროცედურებისა და აქტივობების დეტალურ აღწერას გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგია ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ინიციატივებზე დაფუძნებულ სასკოლო პროექტებზე, რაც მათი ლიდერული უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები ინტერვიურების დროს აღნიშნავდნენ სხვადასხვა პროექტებს,

რომელიც მათი ინიციატივისა და სკოლის მხარდაჭერით განხორციელდა. სკოლის თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მოსწავლეებთან ინტერვიუების დროს მათ ხაზგასმით აღნიშნეს საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობა და გამოხატეს კმაყოფილება სკოლის მხრიდან მათი იდეების მხარდაჭერის გამო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმავს შემუშავებული კითხვარების გავრცელებას სასკოლო საზოგადოებაში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას, რაც გვაძლევს ინიდიკატორის დადებითად შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტები;
- სასკოლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამირგებლო პროგრამები;
- მოსწავლეთა თვიითმმართველობის აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა დასტურდება პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. მაგალითად, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA"-სთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიზანსაც სწორედ მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის კუთხით ცნობიერების ამაღლება და არაფორმალური აქტივობების წახალისება წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, აღნიშნულ პროცესს აძლიერებს მჭიდრო თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მაგალითად, კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის პროექტში ,,პრე-საუნივერსიტეტო სკოლა" , რომელშიც მონაწილეობას იღებდა 75-ე საჯარო სკოლის მე-11 და მე-12 კლასელები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურება ხორციელდება. მაგალითად, მოსწავლეებმა გაიხსენეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა, ხოლო მშობლები ძირითად აქცენტებს აკადემიურ მხარდაჭერასა და სხვადასხვა ორგანიზაციების გაცნობის შესაძლებლობებზე აკეთებდნენ. (მაგალითად, ექსპერტ-კრიმინალისტების დეპარტამენტში სტურმობა). პროცესში აქტიურად არიან ჩართულები კლასის დამრიგებლები, რომლებიც, ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დაცვით, პერმანენტულად ახორციელებენ მოსწავლეთა ინფორმირებას მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხს:

- **შიდაორგანიზაციული** - საკლასო შეხვედრები და ჯგუფური კონსულტაციები, სადაც ხდება კარიერული შესაძლებლობების განხილვა;
- **ციფრული რესურსები:** სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდები, სადაც ვრცელდება ინფორმაცია საგანმანათლებლო სიახლეებისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელბთან შეხვედების ამსახველი დოკუმენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი“, რომელიც მოიცავს სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების, პირველადი მართვის, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებაზე მიმართვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და გადახედვის პროცედურებს. ასევე განსაზღვრულია ისგ ჯგუფის შემადგენლობა, წევრთა ფუნქციები, შეხვედრების სიხშირე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ფორმები, დამატებითი სერვისების მიწოდებისა და სასწავლო გარემოს ადაპტაციის შესაძლებლობები. დოკუმენტში წარმოდგენილი მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების დროულ გამოვლენას, შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას, სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას და მოსწავლის პროგრესის შეფასებას ინდივიდუალური მიზნების შესაბამისად. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს დამატებითი რესურსებისა და სერვისების გამოყენებას, მათ შორის ინდივიდუალურ მეცადინეობებს, რესურსოთახს, ფსიქოლოგის/ასისტენტის ჩართვას საჭიროების

შემთხვევაში, ადაპტირებულ სასწავლო მასალებსა და შინსწავლებას. აღნიშნული ქმნის სსსმ მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის საფუძველს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაშასა და სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია, რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგებთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების იმპლემეტაცია ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია გახანგრძლივებულის მომსახურება, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი #6, და პედაგოგიური საბჭოს ოქმი #5 რომელშიც განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა - გახანგრძლივებული მომსახურება, როგორც დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.

ინდიკატორი შესაბიმისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები, რაც აისახება შემოქმედებით დავალებებსა და სასწავლო აქტივობებში. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების კურიკულუმებში გათვალისწინებულია აქტივობები და პროექტები, რომლებიც მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლეგიალურ მიღებას და სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვის ასახვას კურიკულუმში. აღნიშნული მიდგომა ქმნის პირობებს, რომ კურიკულუმი იყოს რეალურ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო

გეგმის (ისგ) დოკუმენტით და ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობით. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომების ოქმები და მშობელთა კრების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სისტემურად არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც გამოიხატება შინაარსის, აქტივობებისა და რესურსების შერჩევაში, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და მათი მოტივაციის ამაღლებაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი და კომპლექსური დავალებები, პრაქტიკული აქტივობები და არაფორმალური საგანმანათლებლო ელემენტები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დაკავშირებას მოსწავლეთა რეალურ გამოცდილებასთან, რაც ხელს უწყობს ცოდნის ეფექტურ ათვისებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას.

დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, რაც კურიკულუმს ხდის მოქნილსა და მოსწავლეზე ორიენტირებულს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი არის კოლეგიალური და მოიცავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობას. პროცესში ჩართული არიან პედაგოგები და ადმინისტრაცია, რომლებიც ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სკოლის კონტექსტის გათვალისწინებით. კურიკულუმის დაგეგმვა ეფუძნება თანამშრომლობით მუშაობას, კათედრების ფარგლებში განხილვასა და შეთანხმებას, რაც უზრუნველყოფს საერთო ხედვის

ჩამოყალიბებას და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის განვითარებაში, მის პერიოდულ გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში რევიზიაში, რაც კიდევ უფრო ზრდის მის შესაბამისობას სასკოლო საზოგადოების საჭიროებებთან. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგს და ასახავს მათ საერთო ხედვასა და პრიორიტეტებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. პედაგოგები აქტიურად იყენებენ კურიკულუმს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება კათედრების ფარგლებში, სამუშაო შეხვედრებისა და შიდა კომუნიკაციის მექანიზმების საშუალებით, რაც ხელს უწყობს საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. პედაგოგები მუდმივად თანამშრომლობენ, განიხილავენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ კურიკულუმის კორექტირებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტურ გამოყენებას და მის მუდმივ განვითარებას, რაც საბოლოოდ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის შინაგანაწესი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები შეიცავს გამოწვევას, იწვევს ცნობისმოყვარეობას მოსწავლეებში და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგმება არაფორმალური აქტივობები - შემეცნებითი ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში ეკოსისტემის გასაცნობად, ციფრულ მუზეუმში - წყალქვეშა სამყაროს გასაცნობად და სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებები შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ. კურიკულუმების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს.

	რჩევა: ისტორიის VIII, IX კლასის და გეოგრაფიის XI კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი იდეის სვეტში გადატანილია შემოქმედებითი დავალების სრული პირობა, რაც კურიკულუმის წაკითხვას ართულებს, სასურველია ჩამოყალიბდეს ლაკონურად, იდეის სახით და ჩანდეს მხოლოდ ის თუ რა საკითხზე რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა, იგივე სიტუაციაა მოქალაქეობის კურიკულუმებში და იქაც გავითვალისწინოთ. ამერიკისმცოდნეობის წარმოდგენილ კურიკულუმში არაა გამოკვეთილი ამა თუ იმ საკითხის დამუშავება რომელი სამიზნე ცნებით ხდება. კურიკულუმი გავწეროთ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საფეხურების მიხედვით. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს მუშაობა უცხოური ენის კურიკულუმების იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** სკოლას სამივე საფეხურიზე აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმები შეესაბამება ესგ-ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და სკითხებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენაში შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებით რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხებსა, შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი ეფექტურად მუშაობენ როგორც გრძელლვადიან ასევე შუალედურ მიზნებზე, იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **რჩევა:**

	სასურველია, ზოგიერთი კლასის მათემატიკის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: მე-4 კლასი, მე-8) ვიზიტის დროს მიცემული ეს რჩევა სკოლამ გაითვალისწინა და გადმოაგზავნა რამდენიმე კლასის მე-4, მე-7 მე-6, მე-12 კლასების შესწორებული კურიკულუმები, რაც საფუძველს მაძლევს რომ დავადასტურო, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს სასწავლო თემების მიზანმიმართულ და სტანდარტზე დაფუძნებულ დაგეგმარებას.“ **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესი მკაფიოდ ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვასა და განვითარებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, რაც სწავლას მეტად მოქნილსა და მათზე მორგებულს ხდის. ინტერვიუზე ცხადი გახდა, რომ თემების შერჩევა ეფუძნება მოსწავლეთათვის ნაცნობ და ასაკობრივად შესაბამის კონტექსტს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ მოტივაციასა და აქტიურ ჩართულობას. ამასთან, თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და სამიზნე ცნებები, რის შედეგდაც ყალიბდება თანმიმდევრული, დინამიკური და რეალურად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი (II-VI კლასების) საგნობრივი კურიკულუმი სრულად ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. დოკუმენტი წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანიზების გამართულ

	მეთოდოლოგიურ სისტემას, რომელიც აგებულია (თემის, სამიზნე ცნების, საკითხის, შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების იდეა/პირობის, კრიტერიუმებისა და დავალებაზე მუშაობისთვის საჭირო სასწავლო რესურსების) ლოგიკური ჯაჭვით. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულობას, სადაც თითოეული კომპონენტი ემსახურება მოსწავლის მიერ ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაგეგმვის პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებულ თემატურ დავალებებსა და მათ შესაბამის შეფასების კრიტერიუმებს, დავალებები სტრუქტურირებულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს და ხელს უწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა მაგალითად: პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარება და .ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თითოეული თემის ფარგლებში მკაფიოდ არის განსაზღვრული მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და რესურსები. თემატური და შემოქმედებითი დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, სკოლის კონტექსტსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. წარმოდგენილი დოკუმენტები და მასწავლებელთან გასაუბრება ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, სწავლების დაგეგმვისა და განვითარების სრულყოფილი და ეფექტური დოკუმენტი. რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე, ცოდნის კონსტრუირებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმები არ არის მხოლოდ საგნობრივი მასალის ჩამონათვალი - იგი წარმოადგენს გააზრებულ, მიზანმიმართულ პროცესს, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. **რჩევა:** სასურველია, თუ კურიკულუმები იქნება მეტად სტრუქტურული და მასწავლებლები ერთობლივად შეათანხმებენ როგორც კურიკულუმის კომპონენტებს, ისე შემოქმედებითი დავალებების იდეებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ე.ს.გ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ ავითარებს ამ უნარებს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა, თუმცა პედაგოგები კათედრაზე ამ მიმართულებით აგრძელებენ . სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით ძირითადად დაფარულია ყველა თემა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **რჩევა: სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასებში) კ**ურიკულუმები შემუშავდეს მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისად,სადაც მკაფიოდ იქნება

	გამოკვეთილი და სწორად განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა სავალდებულო თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ სავალდებულო თემაში გაწერილია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა განმარტეს შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში, რომელ ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუირების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითარონ გლობალური ფუნქციური უნარები. **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების სამიზნე ცნებებთან ერთად მოცემული ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს უცხოური ენების კურიკულუმების გამდიდრება დროში რეალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სავალდებულო ან და სარეკომენდაციო თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მუსიკა/ხელოვნების მიხედვით. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები უზრუნველყოფს შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია **სამივე საფეხურის** სახელმწიფო ენის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს აქტივობების როლი. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები ეტაპობრივად დამოუკიდებლად მივიდნენ კონკრეტული დავალების შესრულების პროცესამდე.

	მკაფიოდ გამოიკვეთოს შუალედური მიზნის ანუ შემოქმედებითი ბუნების დავალების მიმართება საგნობრივ ცნებებთან, ანუ განისაზღვროს კონკრეტული დავალებით რომელი გრძელვადიანი მიზანი (ცნებებები) მუშავდება. უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად გამოიკვეთოს საკითხი დავალებებში. რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდნოთ მეხუთე კლასის გასწორებული კურიკულუმის ვარიაციასა და დანართს, რომელიც ამავე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას. თუმცა ზოგიერთი კლასის კურიკულუმებსი სამიზნე ცნებები არ არის განსაზღვრული. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ: მე-5 კლ) **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივად, შუალედური მიზნების საშუალებით მიღწევას. თითოეულ თემას თან ახლავს დავალების იდეები, მათ შორის შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები, რაც სასწავლო პროცესს უფრო დინამიკურსა და მიზანმიმართულს ხდის. აღნიშნული აქტივობები არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების განვითარებას

	და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, არამედ ეფექტურად ავითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში, სასწავლო თემების ფარგლებში, მუშავდება ყველა ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი სტანდარტით. რაც წარმოადგენს საგნის სწავლების ფუნდამენტურ კონცეპტუალურ საფუძველს და უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომელთა მიღწევაც სავალდებულოა დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმში განსაზღვრული შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები და დავალებების იდეები (მაგალითად: პირობითი ნიშნების შემუშავება, ვიზუალური პროგრამირება Code.org-სა და Scratch-ში, ელექტრონული ცხრილების ფუნქციური გამოყენება) სრულად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. დოკუმენტში მოცემული თითოეული თემატური ერთეული აგებულია სამიზნე ცნებისა და შედეგების ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას აძლევს. შემოქმედებითი დავალებები და თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების დაუფლებას, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარ პრინციპებს და მიემართება მასში განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აგებულია ისე, რომ თითოეული სასწავლო კომპონენტი ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმაში დასახული მიზნების მიღწევას - იქნება ეს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები და სწავლების ეტაპობრივი განვითარება, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ლოგიკურ და თანმიმდევრულ პროგრესიას. **რჩევა:** გაწერილი სამიზნე ცნებების მიღწევა კიდევ უფრო მარტივი იქნება, თუ შემოქმედებითი დავალებები ზოგიერთ კურიკულუმში, რომლებზეც ინტერვიუს დროს ვისაუბრეთ, უფრო მეტად იქნება ორიენტირებული პრაქტიკულ სამუშაოზე. ვინაიდან, დაწყებით საფეხურზე მთავარი ხელშესახები რესურსის შექმნაა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან გასაუბრებამ, განხორციელებულმა პროექტებმა, წარმოდგენილმა შემოქმედებითმა დავალებებმა ცხადყო, რომ სკოლაში საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი გამართულია. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რადგან მოხდეს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, როგორც ინტერნეტ-რესურსებს, ისე მატერიალურს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი არის, როგორც ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოს სახით, ასევე ინტერნეტ რესურსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გვხვდება ისეთი კურიკულუმებიც, სადაც ,, რესურსების'' ველში უმეტესად მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოა მითითებული. **რჩევა**: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ,,რესურსების'' ველში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს ის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ეძლევათ კონკრეტული საკითხის დამუშავების პროცესში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს როგორც ციფრულ, ისე ბეჭდურ მასალებს, აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს და სხვა დამხმარე ინსტრუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შერჩეული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და ვალიდური. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, აუდიო-ვიზუალური მასალა, სასწავლო პლატფორმები) პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** ხელოვნების სამივე საფეხურზე მრავლად ვხვდებით ელ. რესურსების ლინკებს. ასევე გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სახელმძღვანელოს გვერდების მითითებებს თემებთან მიმართებაში. ელ. რესურსი მრავლადაა მოცემული დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ელ.

	ლინკების უმეტესობა მოქმედია და ხელს უწყობს მოსწავლეს საკითხის შესწავლაში. ემსახურება ცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის ბოლო სვეტი ეტაპობრივად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გამდიდრდეს რესურსებით. აღინიშნოს ვიდეორგოლების ბმულები, ნიმუშები (მაგ: დღიურის ჩანაწერის, წერილის, ჩანახატის, ესეს, პოსტერის...) ფილმები,ანიმაციები, თემატურად მსგავსი ტექსტები, რომლებიც გამოიყენება დისკუსიისთვის, პარალელებისთვის და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი წერითი დავალებებითვის მოსამზადებელ ეტაპებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელე სკოლის" ვიდეო გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები. თუმცა მას არა აქვს ინტენსიური ხასიათი.

	რჩევა: სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ. (მაგ: მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-12კლ;) მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება კი მნიშვნელოვანია , სასწავლო პროცესში. ის უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას. სასურველია გამოიყენოთ: ilსკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა. ვიზიტის შემდეგ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში მე-6, მე-7, მე-12კლასის კურიკულუმებში უკვე რჩევა გათვალისწინებულია, რაც მაძლევს საფუძველს ინდიკატორი შეფასდეს შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მასწავლებლებს გაწერილი აქვთ მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, სპორტის სხვადასხვა სახეობის გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები, სხვადასხვა ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები, ინტერნეტრესურსი უსაფრთხოების, ჯანსაღი ცხოვრების თემატიკით, სპორტის სახეობების ისტორიითა და წესებით. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის, ინტერესისა და აქტიური ჩართულობის გაზრდას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს დასახული სასწავლო მიზნების მიღწევას. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ვიზიტის დროს გაცემული რჩევები და წარმოადგინეს I – IV კლასის განახლებული კურიკულუმი მრავალფეროვანი რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, ქმნის მრავალფეროვან და ფუნქციურ სასწავლო გარემოს, რომელიც პირდაპირ მიემართება ეროვნული

	სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. დოკუმენტში მკაფიოდ არის სტრუქტურირებული როგორც ძირითადი (school.emis.ge), ისე დამხმარე რესურსების ერთობლიობა. კურიკულუმში ინტეგრირებული პლატფორმები (Code.org, Scratch.mit.edu, „განათლების ციფრული სახლი“) და მასწავლებლის მიერ სპეციალურად მომზადებული პრეზენტაციები (V-VI კლასებისთვის), ვიდეო რესურსები (YouTube.com), უზრუნველყოფს ტექნოლოგიური საკითხების ვიზუალიზაციასა და მათ მარტივად აღქმას. სასწავლო პროცესში გამოყენებული ავთენტური მასალები, მათ შორის ისტ.სახელმძღვანელო, რომლის თანაავტორიც თავად საგნის მასწავლებელია, განთავსებულია პერსონალურ საგანმანათლებლო ბლოგზე (ictschool56.blogspot.com). აღნიშნული რესურსების ერთობლიობა ხაზს უსვამს მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმს და რესურსების მუდმივი განვითარების მზაობას. რაც ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსების ლოგიკური ჯაჭვი ქმნის სრულფასოვან სურათს იმისა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები შერჩეულია თემის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევასა და მოსწავლეთა ტექნოლოგიური კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული რესურსები მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე საგანმანათლებლო საშუალებებს - სახელმძღვანელოებს, დამატებით მასალებს, ციფრულ რესურსებს, პრაქტიკულ აქტივობებსა და ვიზუალურ მასალებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მოსწავლის ჩართულობასა

	და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. აღნიშნული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის გააზრებაში, პრაქტიკაში გამოყენებასა და უნარების ეტაპობრივ განვითარებაში. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითის მასწავლებლებმა ხშირად განაახლონ ბმულები, რათა ელექტრონული რესურსით სარგებლობისას, თავიდან აირიდონ ტექნიკური ხარვეზები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმები და შემოქმედებითი დავალებები, პროექტები მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირდება. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 7 სსსმ მოსწავლე. სპეციალურ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ აღნიშნული მოსწავლეების შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაზე. ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მუშაობენ ადაპტირებულ შემოქმედებით დავალებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გარკვეულწილად გამოჩნდა თუ რამდენად შეუძლია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლა აქცენტირდეს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლია შეცვალონ შუალედური მიზნები და მოახდინონ შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირება. ინტერვიუს დროს ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათი მთავარი მიზანი ყველა

	მოსწავლის მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაა, ამას კი სხვადასხვა აქტივობების, მოდიფიცირებული რესურსებით და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით ახდენენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შესაბამისი აქტივობები, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით) ცხადყოფს, რომ, სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლაში უზრუნველყოფილია დიფერენცირებისა და ადაპტაციის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. **რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა გააგრძელონ სწავლების დიფერენცირება მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროებისა და მზაობის მქონე მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და სასწავლო პროცესის თანაბარ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**ხელოვნება/მუსიკა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სადაც მრავლადაა სხვადასხვა სახის აქტივობები მოცემული და კარგადაა გაწერილი ისგ -ს ფორმები, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. მასალაში ინდ. გეგმები წარმოდგენილია ხელოვნებაში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სადაც მკაფიოდაა გაწერილი თითოეული აქტივობა, შესაბამისი ვიზუალური და ელ. რესურსის გათვალიწინებით, რაც სხვადასხვა შესაძლებლობების და უნარების მოსწავლეებს

	საშუალებას აძლევს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით დაძლიონ თემა და თემის ფარგლებში გათვალისწინებული სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია ადაპტირებული რესურსები და დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ძირითადად შემოქმედებითი / კომპლექსური დავალებების პირობებში, კრიტერიუმები და აქტივობები ეტაპებადაა გაერილი და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი. პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ინდ გეგმები, ადაპტირებული დავალებები **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ანალიზით. ინტერვიუზე ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები. შესაბამისად, კურიკულუმების დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლები ახდენენ

	დავალებების მოდიფიცირებას, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას იმუშაონ საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და სრულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმში ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თითოეულ მოსწავლეს შესთავაზოს მისი მზაობის დონის შესაბამისი დავალებები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მორგებას მოსწავლის საჭიროებებზე. სასწავლო თემების ფარგლებში, სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისთვის გათვალისწინებულია მრავალფეროვანი მხარდამჭერი რესურსები და პერსონალურ ბლოგზე განთავსებული დამხმარე მასალები, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას და მასალის ეფექტურ ათვისებას. ასევე მაღალი მზაობის მოსწავლეებს ეძლევათ შემოქმედებითი თავისუფლება, რაც გამოიხატება უფრო რთული და მრავალფეროვანი ციფრული პროექტების დამოუკიდებლად შესრულებაში. კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი ციფრული ინსტრუმენტები იძლევა დავალებების ფორმატისა და სირთულის დონეების მოსწავლის შესაძლებლობებთან შესაბამისობის საშუალებას, რაც ქმნის თანაბარ პირობებს ყველა მოსწავლისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება და სასწავლო მიზნების ეტაპობრივი მიღწევა. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ აკადემიური უნარების გაუმჯობესება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. თუმცა ზოგჯერ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არ არის კონკრეტული და ზოგიერთი მათგანი არ გამომდინარეობს თემის სამიზნე ცნებიდან. პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ ამ მიმართულებით აგრძელებენ მუშაობას. იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ ,, მოსწავლის თვითშეფასებას'', რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, ამ დროს მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას ,რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით; სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონს და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები: პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რომლის მიხედვითაც ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის გააზრებაში. აღსანიშნავია ორივე ტიპის შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება, მათ შორის დიფერენცირებული, ადაპტირებული აქტივობებისთვის. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ შეფასებას და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **რჩევა:** სასურველი, სამივე საფეხურზე უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების შემდგომი დახვეწა კონკრეტული თემებისა და სამიზნე ცნებების სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, მასწავლებლებმა მეტი აქცენტი გააკეთონ პოზიტიურ, კონსტრუქციულ უკუკავშირზე, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის იდენტიფიცირებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	**ხელოვნება/ მუსიკა:** სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული რუბრიკები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რომლებიც მიემართება კონკრეტულ შემოქმედებითი ტიპის დავალებას. შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე გადმოგზავნილია სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები და რეფლექსია. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ მასწავლებლები სათანადოდ ფლობენ შეფასების სისტემებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და სხვადასხვა შინაარსის სასწავლო პროცესს მიემართება და აფასებს **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენის სამივე საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით, მეტად გამოჩნდეს ბმა საკითხსა და სამიზნე ცნებას შორის. უმჯობესია მკაფიოდ გამოიკვეთოს დავალების პირობა, დავალების მოთხოვნები და განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასება დავალებაში მასწავლებლის მიერ ჩაშენებულ კრიტერიუმებს

	დაეყრდნოს (რასაც დავალებაში სთხოვთ მოსწავლეს კონკრეტულად ის შეუფასეთ) , ამ რჩევის გათვალისწინებისას სასურველია დაეყრდენოთ განახლებული შეფასების რუბრიკის ვარიაციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო, და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს, ატარებს ზოგად და ზედაპირულ ხასიათს. **რჩევა:** მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს. მათი შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს „ფრენბურთის“ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც გაწერილია თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების კრიტერიუმებში დეტალურადაა მოცემული კონკრეტულ ქვეცნებასთან მიმართებით რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მოსწავლემ დადებითი შეფასების მისაღებად. ასევე წარმოადგინეს „მძლეოსნობის“ და „ძალისმიერი ვარჯიშების“ შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება ინდივიდუალური მიდგომით, რისთვისაც იყენებენ სიტყვიერ კომენტარს, რჩევა-დარიგებას, მოსწავლეთა თვითშფასებას. მასწავლებლებმა ინტერვიუზე გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ყველა თემის მიმართ გაწერონ შეფასების რუბრიკები და მათ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინეს „მძლეოსნობის“, „ტანვარჯიშის“ და „ფეხბურთის“ შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასების პროცესი წარმართონ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. **რჩევა - საბაზო საფეხური:** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა სასურველია შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **რჩევა - საშუალო საფეხური:** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა სასურველია შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ყველა თემისთვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზი ადასტურებს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, სადაც მთავარი აქცენტი გადატანილია მოსწავლის პროგრესზა და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე. სასწავლო პროცესში მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, სადაც წამყვან როლს ასრულებს განმავითარებელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებაში.

	მასწავლებელს ასევე გამოყენებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რაც აძლევს საშუალებას ობიექტურად შეაფასოს, თუ რა ხარისხობრივ საფეხურზე იმყოფება მოსწავლე კონკრეტული სამიზნე ცნების ათვისების პროცესში. თითოეული შემოქმედებითი პროექტისა თუ პრაქტიკული დავალების დასრულების შემდეგ, მასწავლებელი გასცემს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც მიმართულია მოსწავლის შემდგომ განვითარებაზე. კურიკულუმში გათვალისწინებული მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების გზები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე, რაც ასევე ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შეფასების ასეთი სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევების სამართლიან ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, როგორც შემოქმედებითი, ისე ცალკეული დავალებების შემთხვევაში პასუხობს ეროვნული სასწავლი გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2025-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები;
- ინკლუზიური განათლების დებულება;
- სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლის ადაპტირებული შემოქმედებითი დავალება;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები/ანალიზი;
- მრავალფეროვანი ციფრული სასწავლო რესურსები და პლატფორმები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- გაკვეთილის გეგმა შეფასებით და რეფლექსიით;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სამოქმედო გეგმა;
- სემესტრული ანგარიშები/ რეფლექსიები;
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი;
- არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;
- განხორციელებული პროექტები:“ შევინარჩუნოთ ტყე - ჩვენი ეროვნული სიმდიდრე“, „დედამიწა ავადაა- გავუფრთხილდეთ მას“, „ნარჩენები ჩვენს ირგვლივ - რეციკლინგი“, „ენერგიის ალტერნატიული წყაროები“, „ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება’“, „წყლის რესურსების დაცვა“, „ჰაერი სიცოცხლის წყარო“, „ენერგოეფექტური სახლის შექმნა“, „ელექტრომეტრი“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი მტკიცებულებები და აგრეთვე გასაუბრება საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შესაძლოა სასწავლო წლის მანძილზე მოხდეს კურიკულუმის ცვლილება, რაც მოსწავლეთა საჭიროებებით იყოს გამოწვეული. სასწავლო პროცესი მთლიანად ეყრდნობა კურიკულუმებში წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების გათავისებას. მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმები გარკვეული მოდიფიცირების საჭიროებას ყოველთვის მოითხოვს და ხშირად ახორციელებენ კურიკულუმის გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას, რასაც უკვე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში ასახავენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი სტანდარტის მიზნების შესაბამისად. შერჩეული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას; ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ ცვლილებებს, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კურიკულუმში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაცია მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას ამის მხარდამჭერად აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის დაგეგმვასაც. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ

	სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. პედაგოგები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უწევენ რევიზიას და საჭიროების მიხედვით აკორექტირებენ კურიკულუმს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ეს შესაბამისობა გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს თემების შესაბამისად სამიზნე ცნებებს საკითებსა და შედეგების ინდიკატორებს რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები: „მაღაზიობანა“, „განძის რუკა“... შესაბამისი განმავითარებელი/განმსაზღვრელი რუბრიკებით, რომლებიც ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს – დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნამდე და მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან დავალების პირობად განსაზღვრულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალების ორგანიზება. შესწავლილი საკითხების წარმოსაჩენად მასწავლებლებმა განახორციელეს შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალები: „მძლეოსნობა“, „ფეხბურთი“, საბაზო და საშუალო საფეხურზე - „კალათბურთი“ და „ფრენბურთი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ფოტომასალით ჩანს, რომ სპორტულმა აქტივობებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში და მაღალი იყო მათი ჩართულობა. სკოლის მოსწავლეები სპორტის მასწავლებლის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ სასკოლოთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში. ფეხბურთში - სასკოლო ლიგაზე არაერთი გამარჯვება მოიპოვეს და მესამე ტურიც გამარჯვებით დაასრულეს, ასევე სასკოლო ლიგაზე პირველი ტურის საუკეთესო ბომბარდირად და მესამე ტურის საუკეთესო ფეხბურთელად აღნიშნული სკოლის მოსწავლეები დასახელდნენ. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში კრწანისის რაიონის მასშტაბით სკოლებს შორის გამართულ „მხიარულ სტარტებში“ სკოლის გუნდმა გაიმარჯვა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საქალაქო თამაშებზე - „მძლეოსნობაშიც“ წარმატებით იასპარეზა სკოლის გოგონათა გუნდმა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებელთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება საგნობრივ კურიკულუმს, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მიღწევას. თითოეული სასწავლო თემა დაგეგმილია იმგვარად, რომ პრაქტიკული აქტივობები ემსახურებოდეს სამიზნე ცნებებისა და საკითხების გააზრებას.

	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის მასწავლებლის მიერ მომზადებული ციფრული მასალები და საგანმანათლებლო პლატფორმები, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული ამოცანების ეფექტურ რეალიზებას. მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი თემატური თუ შემოქმედებითი დავალებები არის კომპლექსური ხასიათის, რომლის ფარგლებშიდაც იქმნება შემოქმედებითი პროდუქტი, როგორიცაა მაგალითად: • პროექტი მე-5 კლასი: კროსვორდების კრებული • ინტეგრირებული სასწავლო პროექტი მე-6 კლასი: scratch - ში „წყალი“, • თემატური მე-4 კლასი: საინფორმაციო პოსტერის შექმნა • თემატური მე-5კლასი: ვიზუალური პროგრამირების გარემოში (მაგ:Scratch) წინასწარ შემუშავებული ალგორითმის მიხედვით მარტივი ანიმაციის შექმნა; საავტორო უფლებები, ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები • თემატური მე-6 კლასი: Microsoft Excel - მაკროსების გამოყენებით კალკულატორის შექმნა; ვიზუალური პროგრამირების გარემო scratch-ში ორ დონიანი თამაშის შექმნა როგორც ავღნიშნე, ყველა ჩამოთვლილი დავალებისთვის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი. მასწავლებელს ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალება, ანალიზი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ტესტები 2-6 კლასის ჩათვლით, დიაგნოსტიკური ტესტის ანალიზი, შემოქმედებითი დავალება, ისგ გეგმა, გასასვლელი ბარათი და მოსწავლეთა ნამუშევრები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სასწავლო მიზნების მიღწევაზე.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო აქტივობები და მეთოდები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიმართულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული ეტაპი ემსახურებოდეს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებზე. ადმინისტრაცია სისტემატურად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებას, აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს და მიღებული შედეგების საფუძველზე გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად ხორციელდება სასწავლო პროცესის, რესურსების განაწილების, მხარდამჭერი სერვისებისა და ორგანიზაციული მექანიზმების ადაპტირება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს უწყვეტ განვითარებას და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი,

	პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. **რჩევა:** სასურველია,რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის შექმნან მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას.

	რჩევა: სასურველია უცხოური ენების შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სკოლას აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დოკუმენტები. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, გაწერილია კრიტერიუმები, რომელიც მორგებულია თემებზე და ცნებებზე. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები და რეფლექსიები. გაკვეთილის გეგმები თანდართული შეფასების რუბრიკით და რეფლექსიით, განმავითარებელი შეფასებები გაწერილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით. ასევე სკოლას შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენაში სკოლამ წარადგინა სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით, ზოგადი რუბრიკები ესეს შეფასებისთვის...) , რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევებისა და ზოგადი სურათის შეფასების შესაძლებლობას, შესაბამისად შეფასების სისტემა ვალიდურია, მაგრამ გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ხარისხის გაზრდის მიზნით უმჯობესია კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კონკრეტული დავალების კრიტერიუმებს დაეყრდნობა.

	რჩევა: სასურველია სახელმწიფო ენეს სამივე საფეხურზე დავალების პირობა გახდეს ძალიან მკაფიო, გამოიკვეთოს მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტი, რაც უნდა შექმნას მოსწავლემ. დავალების პირობაში ისეთი მოთხოვნები იყოს დაკონკრეტებული მოსწავლეებისთვის, რისი გამოხატვის საშუალებასაც პროდუქტი იძლევა. პირველი ეტაპი პირობის სტრუქტურულად, შინაარსობრივად, სტილისტურად გამართვაა და მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა. მეორე ეტაპზე დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმების გადატანა შეფასების რუბრიკაში. (მოსწავლეს უნდა შეუფასდეს ის, რასაც პირობაშია მოთხოვნილი. სასურველია ამგვარი შეფასების რუბრიკები დაერთოს ყველა დავალებას.) **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. შეფასების რუბრიკები ზომავს– მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, კრიტერიუმებისი და პროცედურები მოსწავლეთათავის ცნიბილია, შეფასების შედეგები თანმიმდევრულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ შეფასების რუბრიკები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების ობიექტურობასაც. წარმოდგენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა შემოქმედებითი და შემაჯამებელი წერის ნაშრომები, შეფასებით, შედეგების ანალიზითა და მასწავლებლის რეფლექსიით.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ასახულია შეფასების რუბრიკასა და თემების მიხედვით გაწერილ შეფასების კრიტერიუმებში. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განმავითარებელ კომპონენტს - მოსწავლის მიღწევების აღწერას და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი პროგრესის გააზრებასა და შემდგომი განვითარების დაგეგმვას. მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა წინასწარ ინფორმირებას შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ, რაც განაპირობებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სანდოობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში დანერგილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევების **ობიექტურ და სამარ თლიან შეფასებაზე**. სისტემის **გამჭვირვალობა** დასტურდება იმით, რომ მასწავლებელი ყოველი პრაქტიკული პროექტის ან თემატური დავალების დაწყებამდე მოსწავლეებს წინასწარ აცნობს შეფასების კრიტერიუმებს, რაც ინტერვიუების დროსაც ცალსახად გამოიკვეთა. ეს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რუბრიკების სახით, რაც მოსწავლეებს ეხმარება უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და დაგეგმონ სამუშაო პროცესი. შეფასება ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის **ოთხდონიან სისტემას**, რაც უზრუნველყოფს პროცესის **ვალიდურობასა და ობიექტურობას.** წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ რუბრიკები მორგებულია კონკრეტული დავალების შინაარსზე და ფოკუსირებულია როგორც საბოლოო შედეგზე, ისე მუშაობის პროცესზე. შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, განამტკიცებს სისტემის სანდოობას. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს **ვერიფიკაციის მექანიზმი,** რაც

	უზრუნველყოფს, რომ თითოეული მოსწავლის მიღწევა შეფასებულია სამართლიანად და სკოლის პრინციპების სრული დაცვით. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა აგებულია ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სრულფასოვან და ზუსტ შეფასებას. იგი მკაფიოდ არის დაკავშირებული კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებთან, რის შედეგადაც შეფასება ასახავს რეალურად იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა გამოიმუშაოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დამტკ.2026 წლის 2.02, ბრძ.N 02-15)რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და მოიცავს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების პროცესების მონიტორინგსა და ანალიზს. სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციებისა და დოკუმენტების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათი ინფორმირებულობის ზრდასა და შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. ამასთანავე, შეფასების შედეგების ანალიზი და რეფლექსია საშუალებას იძლევა გამოვლინდეს როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც საფუძველს ქმნის შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. ვერიფიკაციის მექანიზმი ასევე მოიცავს პედაგოგთა თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებასა და შეფასების პრაქტიკის პერიოდულ გადახედვას, რაც ხელს უწყობს ერთიანი სტანდარტების დაცვას და შეფასების პროცესის

ხარისხის უზრუნველყოფას. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა მექანიზმის შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესი და დანერგოს სასწავლო პროცესში მომდევნო სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის მოწესრიგებული სისტემა. დაცულია შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს შეფასების დოკუმენტაციის ორგანიზებას, არქივირებასა და ხელმისაწვდომობას. სკოლა უზრუნველყოფს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მასალების (შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ანალიზები, რეფლექსიები) სისტემატურ დაგროვებასა და დაცვას. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სტრუქტურირებულად, რაც შესაძლებელს ხდის საჭიროების შემთხვევაში მათი მარტივად მოძიებასა და გამოყენებას. დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა ხორციელდება განსაზღვრული ვადების დაცვით, მათ შორის არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მონიტორინგისა და შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს შეფასების პროცესის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის და ადასტურებს, რომ სკოლაში მონაცემთა მართვა ხორციელდება სისტემურად და ორგანიზებულად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

- ვერიფიკაციის წესი;
- სემესტრული ანგარიშები;
- განხორციელებული აქტივობების გეგმა;
- რეფლექსია და ფოტომასალა;
- სკოლის სოციალურ ქსელში ატვირთული მასალა;
- კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. აგრეთვე მასწავლებლები იყენებენ დამხმარე სასწავლო ელექტრონულ რესურსებს(სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია),el.ge, ტელესკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს. სკოლას აქვს თვალსაჩინოებები, მულაჟები, ზოგიერთი საჭირო პრეპარატი, ქიმიური რეაქტივები, ხელსაწყოები, რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს შუალედური სასწავლო მიზნები(შემოქმედებითი დავალებები) დაგეგმონ ისე, რომ შესაქმნელი პროდუქტი და მისკენ მიმავალი აქტივობები დაფუძნებული იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარებაზეც.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ძირითად რესურსად წარმოდგენილი არის გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში ინტეგრირებული ძირითადი და დამხმარე რესურსები ვალიდურია და სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. შერჩეული მასალები (ტექსტური, აუდიო-ვიზუალური, ციფრული) ეფექტურად უწყობს ხელს უცხოურ ენაში კომპეტენციების განვითარებასა და მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ ხელი შეუწყოს უცხოური ენების სასწავლო პროცესში ინტერაქტიული და ციფრული რესურსების კიდევ უფრო ინტენსიურ, ყოველდღიურ გამოყენებას. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების წახალისება, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სისტემატურ ინტეგრირებას ყველა საფეხურზე და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ენობრივი კომპეტენციების მუდმივ ზრდას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. სხვადასხვა თემების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების ინტეგრირებას, კურიკულუმებში მრავლადაა ჩაშენებული ლინკები, რომლებიც მოქმედია და

	დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და საკითხებთან. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავისა და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით, უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების, რომლებიც შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე გამოიყენება დამხმარე საშუალებები, ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. თუმცა ეს ყველა თემასთან მიმართებით არ ჩანს. **რჩევა:** სასურველია გაამდიდროთ ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია. მაგ: მე-5, მე-6, მე-7 , მე-9, მე-12 კლასებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული. ვიზიტის შემდეგ, გაიტხალისწინა

	სკოლამ რჩევა და გადმოაგზავნა მე-6, მე-7 მე-12 კლასის კურიკულუმები , გამრავალფეროვნებული რესურსებით, რაც საფუძველს მაძლევს რომ ინდიკატორი შეფასდეს შესაბამისად **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში თითოეულ თემასთან დაკავშირებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, მათ შორის სახელმძღვანელოები, მასწავლებლის გზამკვლევები, პრეზენტაციები, ინტერნეტრესურსი და ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. აღნიშნული რესურსები ქმნის პირობებს საკითხების სიღრმისეული და მრავალმხრივი დამუშავებისთვის. პრაქტიკაში მასწავლებელი რესურსებს არჩევს და იყენებს მოსწავლეთა საჭიროებებისა და თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და ინტერვიუ მასწავლებელთან აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში რესურსების შერჩევა სრულად ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ვინაიდან საგანში არ არსებობს გრიფირებული სახელმძღვანელო, ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ელექტრონული პლატფორმა school.emis.ge. სწავლების პროცესში მასწავლებელი სისტემურად იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის საკუთარ საავტორო მასალებსა და **ისტ-ის (V-VI კლასის) სახელმძღვანელოს** რომლის თანაავტორიც თავად არის. დამხმარე რესურსებად ასევე აქტიურად გამოიყენება **განათლების ციფრული სახლი**, **Scratch.mit.edu და Code.org**. მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის **Microsoft Office -ის** პაკეტთან. გარდა ამისა, მასწავლებელი საჭიროებისამებრ იყენებს **Google Drive**-ზე განთავსებულ პერსონალურ პრეზენტაციებს, **YouTube**-ის ვიდეოინსტრუქციებსა და ინტერნეტის საძიებო სისტემებს.

	აღნიშნული რესურსების სისტემური გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. რესურსების ასეთი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ინტერაქტიულ სწავლებას, ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და სწავლების პროცესს ხდის შედეგზე ორიენტირებულს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარედ, ძირითადად, ელექტრონული ბმულები, რომლებსაც მასწავლებლები QR კოდების საშუალებითაც იყენებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ყველა მოსწავლის საჭიროებაზე იქნება მორგებული. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ასევე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. რესურსოთახი აღჭურვილია ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით.სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ვერბალურ რესურსს, ასევე სთავაზობენ ისეთ რესურსებს, რომელთა გამოყენებითაც მასალას უკეთ აღიქვამენ და გაიაზრებენ: ფოტო/ვიდეო მასალა,

	ანიმაცია, მულაჟი, ნახატი,ილუსტრაცია, ცხრილი და სხვა. ამისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემურ ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე დამხმარე რესურსები შერჩეულია კვალიფიციური კადრის, პედაგოგების აქტიური ჩართულობით, თითოეული საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლაში მიზნობრივად გამოიყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, და ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. რადგან სკოლა გეგმავს ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმები, შესაბამისად სასწავლო რესურსების გადახედვაც ყოველწლიურად მოხდება. დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. ასაკობრივად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა	სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა. დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, ონლაინრესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. **რჩევა:** იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, და ფარავდეს ყველა თემას სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სისტემატურად ხდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და შერჩევა კათედრაზე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნულ კრიტერიუმებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რესურსის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა

	პრაქტიკული უნარების განვითარებასა და სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. რესურსების წინასწარი შეფასება და შერჩევა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების რელევანტურობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	როგორც ზემოთ ავღნიშნე, ვინაიდან საგანში არ არსებობს გრიფირებული სახელმძღვანელო, ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ელექტრონული პლატფორმა school.emis.ge და შესაბამისად არის ვალიდური. ხოლო მასწავლებლის მიერ შერჩეული ყველა დამხმარე მასალა, მათ შორის საავტორო რესურსები და ბლოგი (**ictschool56.blogspot.com**), შეთანხმებულია საგნობრივ კათედრაზე და მთლიანდ შეესაბამება სასწავლო მიზნებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ დამხმარე რესურსები რეალურად ეხმარება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიდგომა გარანტიას იძლევა, რომ მოსწავლეებისთვის მიწოდებული მასალა არის ეფექტური, მიზნობრივი და ორიენტირებული კონკრეტული შედეგების მიღწევაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გყურადღება ექცევა რესურსების შესაბამისობას სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებთან, მათ პრაქტიკულ ღირებულებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხზე ზეგავლენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ამ ეტაპზე** სკოლას აქვს ძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ოთახი, STEM ლაბორატორიის აღჭურვილობა **და იყენებს მას.** პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საჭირო რესურსების სიმცირის პირობებში მაინც ატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს და ქიმიურ რეაქციებს,რასაც ადასტურებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები. მე-10 კლასის მოსწავლეებმა შექმნეს ელექტრომეტრი, მე- 8 კლასის მოსწავლეებმა ენერგო ეფექტური სახლი, მე-9 კლასმა დაამზადა კატაპულტი. სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიებით. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრა პრიორიტეტს ანიჭებს „კეთებით სწავლას“. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სკოლის მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. დაცულია უსაფრთხოების და ჰიგიენური ნორმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს სკოლის რესურსების რეგულარულ შეფასებას და განვითარებას. ასევე პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მარტივი და ხელმისაწვდომი რესურსებით მოსწავლეები ექსპერიმენტულ დავალებებს სახლის პირობებშიც ატარებენ. **სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სკოლამ მეტად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.	
უცხოური ენები	პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური რესურსით. არსებული ბაზა ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და უცხო ენების ათვისების ოპტიმალური პირობების შექმნას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეინარჩუნოს მატერიალური ბაზის რაციონალური გამოყენების დინამიკა და უზრუნველყოს მისი პერიოდული განახლება თანამედროვე ციფრული თუ ვიზუალური მასალით. ეს კიდევ უფრო გააფართოებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, ასევე ურთიერთადსწრებების, ისგ გეგმების, შემეჯამებელი დავალებების და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ რომ სკოლაში სამივე საფეხურის ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული	

	გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
სპორტი	სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე. ეზოში აქვთ ღობით შემოსაზღვრული ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც დახაზულია და დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარები. აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ბურთები, ტანვარჯიშული სკამი, ლეიბი ტანვარჯიშისთვის, სახტუნაო, კონუსები, ფიშკები მოედნის მოსანიშნად, ბარიერები, საბავშვო ბოულინგი, ბადმინტონი. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლაში არსებული რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნიკით, სადაც კომპიუტერების რაოდენობა სრულად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც თითოეულ მათგანს აძლევს ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას. პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მოსწავლეები სარგებლობენ ინტერნეტკავშირით. სამუშაო გარემო არის მოწესრიგებული, რაც იძლევა საშუალებას, განხორციელდეს კურიკულუმით გათვალისწინებული	

	ყველა პრაქტიკული აქტივობა, მათ შორის პროექტორის გამოყენება სასწავლო მასალის დემონსტრირებისთვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც მიზნობრივად არის შერჩეული და მორგებულია სასწავლო პროცესის მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს საჭირო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ და საგანმანათლებლო რესურსებს, რაც ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის ათვისებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**	*ივსება მხო*

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულფასოვან და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო სასკოლო გეგმა;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ციფრული სასწავლო რესურსები;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალებეი/ანალიზები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინფრასტრუქტურის და ინვენტარის ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ცხადყოფს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის (26.12.2025, ბრძ.#02-243) შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, შემაჯამებელი დავალებებისა და მათი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია როგორც შედეგზე, ასევე სწავლების პროცესზე. გამოყენებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და გრძელვადიან მიზნებთან. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა პროგრესის სისტემურ მონიტორინგს, იყენებენ შეფასების მონაცემებს სწავლების დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის, აგროვებენ და აანალიზებენ ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. ასევე დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ფორმის უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეფლექსიასა და შემდგომ განვითარებას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების ანალიზები, რეფლექსიები და ვერიფიკაციის მექანიზმები ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება არის სისტემური, თანმიმდევრული და სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსწავლეთა მიღწევების დაფიქსირებით, არამედ აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების დაგეგმვისთვის. შეფასების შედეგების სისტემური ანალიზის საფუძველზე იკვეთება როგორც მოსწავლეთა პროგრესის დინამიკა, ასევე ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება სწავლების სტრატეგიების შერჩევისა და მოდიფიცირებისთვის, დიფერენცირებული მიდგომების დანერგვისა და სასწავლო აქტივობების გაუმჯობესებისთვის. ექსპერტთა დასკვნებში დასტურდება, რომ მასწავლებლები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებენ რეფლექსიას,

გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ კურიკულუმისა და სასწავლო პროცესის ადაპტირებას. ამასთან, შეფასების პროცესში გამოყენებული უკუკავშირი ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გააზრებას, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად იმუშაონ პროგრესზე. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ფუნქციონირებს როგორც გადაწყვეტილების მიღების ეფექტური ინსტრუმენტი და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზების განსაზღვრას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურება ცხადყოფს, რომ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგების განსაზღვრაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები გამოიყენება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვისთვის. მასწავლებლები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სთავაზობენ მოსწავლეებს მიზნობრივ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და უნარების გაუმჯობესებას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომები. საგნობრივი ექსპერტთა შეფასეებებშიც იკვეთება, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერისთვისაც — ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, რეფლექსია და პრაქტიკის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ზრდას. ამასთან, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და კომუნიკაცია უზრუნველყოფს მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას, რაც აძლიერებს თანამშრომლობას და ქმნის მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ მონიტორინგი და შეფასება სკოლაში ფუნქციონირებს როგორც მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის განვითარებასა და ეფექტურ თანამშრომლობას.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურება ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ, სანდო და ყოვლისმომცველ შეფასებას. შეფასებისას გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის: შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, საკლასო აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრები, თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ფორმები. აღნიშნული მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტის გამოვლენას. შეფასების პროცესში გამოყენებული მონაცემები სისტემურად გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება როგორც მოსწავლეთა პროგრესის განსაზღვრისთვის, ასევე სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მრავალმხრივობას და ადასტურებს, რომ შეფასება ეფუძნება განსხვავებულ და ურთიერთშემავსებელ წყაროებს, რაც ზრდის მისი შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური საჭიროებები, წინარე ცოდნა, სწავლის ტემპი და ინტერესები. ასევე, შეფასება ხორციელდება განსხვავებულ სასწავლო გარემოებსა და ფორმატებში — საკლასო აქტივობებში, პროექტებზე მუშაობის პროცესში, პრაქტიკულ დავალებებში და არაფორმალური სწავლების ელემენტების ფარგლებში. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ადაპტირებულ დავალებებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას და მათი შესაძლებლობების შესაბამის

შეფასებას. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია რეალური ცხოვრების კონტექსტები, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სრულყოფილ და ობიექტურ სურათს. მასწავლებლები სისტემურად იყენებენ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის: დაკვირვებას, საკლასო აქტივობების შეფასებას, წერით და ზეპირ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, ტესტირებას, ასევე თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ინსტრუმენტებს. აღნიშნული მეთოდების კომბინაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ცოდნა, ისე უნარები და დამოკიდებულებები. შეგროვებული მონაცემები რეგულარულად მუშავდება და ანალიზდება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის დინამიკის გამოვლენას და სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეფექტიანობას. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები მრავალფეროვანია, ურთიერთშემავსებელი და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარების სრულყოფილ შეფასებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მისი ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, სწავლის ტემპი, მოტივაცია და ჩართულობის დონე. ამასთან, მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ადაპტირებულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამის შეფასებას. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც საბოლოო შედეგს, ისე სწავლების პროცესს, მოსწავლის პროგრესს და მის ინდივიდუალურ განვითარებას. ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კონტექსტი და გარემო, რაც შეფასებას ხდის უფრო მოქნილსა და მრავალმხრივს. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ შეფასება სკოლაში არის მოსწავლეზე ორიენტირებული,

სამართლიანი და ეფუძნება მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებას, რაც უზრუნველყოფს მისი შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში კურიკულუმის განხორციელებისა და შეფასების პროცესზე დაყრდნობით სისტემურად ყალიბდება მისი განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს როგორც ძლიერი მხარეები, ასევე განვითარების საჭიროებები, რაც საფუძვლად ედება შესაბამისი რეკომენდაციების ფორმირებას. აღნიშნული რეკომენდაციები ეხება როგორც სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებას, ისე რესურსების გამდიდრებას, შეფასების პრაქტიკის დახვეწასა და დიფერენცირებული მიდგომების გაძლიერებას. პედაგოგები აქტიურად იყენებენ შეფასების შედეგებს რეფლექსიისთვის და მონაწილეობენ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას. ასევე აღინიშნება, რომ აღნიშნული პროცესი არის კოლეგიალური და ეფუძნება თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლაში კურიკულუმის განვითარება ხორციელდება სისტემურად, მონაცემებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს მისი მუდმივი გაუმჯობესების პროცესს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა ანალიზი ცხადყოფს, რომ კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება წინარე გამოცდილების, ასევე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული მონაცემების სისტემური ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დაგროვილი პრაქტიკა, განხორციელებული სასწავლო პროცესის შედეგები და შეფასების ანალიზები გამოიყენება კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და განვითარებას, ასევე გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებასა და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას. პედაგოგები აქტიურად ახორციელებენ რეფლექსიას საკუთარ პრაქტიკაზე, განიხილავენ შეფასების შედეგებს და მათზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის შინაარსისა და სწავლების სტრატეგიების ადაპტირებას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას, მის შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და ადასტურებს, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება როგორც წინარე გამოცდილებას, ისე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 08.06.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: